www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი პარასკევი, 6 დეკემბერი, 2013 წელი. №3423 (230)

„ბიბინი ჭრის„

უგულავას რეაქცია მთავრობის გადაწყვეტილებაზე

გუშინ მთავრობის სხდომაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების პროექტის პარლამენტში ინიცირების გადაწყვეტილება მიიღეს. როგორც საკითხის მომხსენებელმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ აღნიშნა, ცვლილებები ქვეყანაში არსებული სოციალური მდგომარეობით არის განპირობებული. მისი თქმით, პროექტი ჯარიმებისა და საურავების მნიშვნელოვნად შემცირებას ითავლისწინებს.

პროექტის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით, სიჩქარის გადაჭარბებისათვის გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა 100-დან 50 ლარამდე შემცირდება. ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში არსებული საურავის ოდენობა კი 500-დან 150 ლარამდე შემცირდება. ამასთან, ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში, სამართალდამრღვევს მართვის უფლება 2 წლის ნაცვლად 6 თვით ჩამოერთმევა.

ღერძულა ხაზის გადაკვეთისთვის დაწესებული ჯარიმა 100-დან 50 ლარამდე შემცირდება. ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, მძღოლს საურავი 500 ლარის ნაცვლად 150 ლარის ოდენობით დაერიცხება. ჯარიმისა და საურავის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში კი დამრღვევ მძღოლს მართვის უფლება 2-ს ნაცვლად 1 წლით ჩამოერთმევა. გარდა ამისა, ღერძულა ხაზის განმეორებით გადაკვეთისთვის დადგენილი 200-ლარიანი ჯარიმა განახევრდება.

მთავრობის სხდომაზე მიღებულ დადგენილებებს შორის არის «უმაღლესი განათლების შესახებ» კანონში ცვლილებების პროექტის პარლამენტში ინიცირების საკითხი. როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ აღნიშნა, პროექტის თანახმად, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლებში მცხოვრები ის სტუდენტები, რომლებიც აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ, სახელმწიფოსგან სასწავლო გრანტს მიიღებენ.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

მავთულხლართების თემა ეუთო-ს მინისტერიალზე

კიევში საპროტესტო აქციების პარალელურად ეუთო-ს საგარეო საქმეთა მინისტერიალი მიმდინარეობს. ბუნებრივია, ცენტრალური თემა უკრინაში მიმდინარე მოვლენებია, თუმცა ღონისძიების გახსნაზე საქართველოს საკითხი არაერთხელ იყო ნახსენები.

აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ვიქტორია ნულანდმა, რომელიც საქართველოში ოფიციალურ ვიზიტს დღეს იწყებს, კიევში ადამიანის უფლებების და თავისუფლებების პრინციპების დაცვაზე გაამახვილა ყურადღება. მისი შეფასებით, ამ საკითხებს არამხოლოდ ურაინისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის გრძელვადიან პერსპექტივაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. როგორც ნულანდი ამბობს, უამრავი შემთხვევა არსებობს იმის, რომ ეუთო-ს წევრი ქვეყნები ვალდებულებებს არ ასრულებენ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვალდებულებების შესრულებით ნდობა უნდა გაიზარდოს.

ნულანდის განცხადებით, ქართველი და მოლდოველი ხალხის დასახმარებლად ძალისხმევის გაორმაგებაა საჭირო. **საქართველოში ვითარება გაუარესებულია, რადგან ოკუპირებულ ტერიტორიაზე საზღვარი მივიღეთ,“** - თქვა ნულანდმა.

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს შეეხო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი. მისი თქმით, საზღვარი როდესაც ირღვევა, ამით არავინ ინტერესდება, ამიტომ წლების შემდეგ მავთულხლართების და საზღვარის გავლებაა საჭირო. **რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზება თუ რუსეთზეა დამოკიდებული, ამას პერსპექტივა ნამდვილად აქვს. თუმცა, რეგიონში ჩამოყალიბებული ახალი რეალობების აღიარებაა საჭირო,“** - თქვა ლავროვმა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

100-ლარიანი ჯარიმა ხანუკას გაპროტესტებისთვის

თავისუფლების მოედანზე, სადაც ოთხ დეკემბერს, ებრაული დღესასწაულის, ხანუქას ბოლო დღე კონცერტით აღნიშნებოდა, მოქალაქეების ჯგუფი, მათ შორის სასულიერო პირები, მივიდნენ და პროტესტი გამოხატეს.

მოქალაქეების ჯგუფი განსაკუთრებით აპროტესტებდა დღესასწაულზე პრეზიდენტის მისვლას. აგრესიულად განწყობილი მოქალაქეები ამბობდნენ. რომ გიორგი მარგველაშვილის ებრაულ დღესასწაულზე მისვლა და ებრაელი ხალხისთვის მილოცვა, შეურაცხყოფას აყენებს მართლმადიდებლებს.

მართლმადიდებელ სასულიერო პირებს შორის იყო მღვდელი დავით ისაკაძეც. **„ებრაელ ხალხთან კი არა გვაქვს პრობლემა, დღესასწაულებთან გვაქვს პრობლემა“, -** უთხრა მან პოლიციელებს. ამასთან, ადგილზე ორმა მოქალაქემ პლაკატები ჩამოხია და დამონტაჟებული ტრიბუნა დააზიანა. ხანუკას დღესასაწაულის აღნიშვნას და პრეზიდენტის დღესასწაულზე დასწრებას დაახლოებით ოცი ადამიანი აპროტესტებდა. ისინი აცხადებდნენ, რომ მართლმადიდებლები ამ დღეს ღვთისმშობლობის დღესასწაულს აღნიშნავდნენ და ხანუკას დღესასწაულის აღნიშვნა მათთვის შეურაცხმყოფელია. აქციის მონაწილეების თქმით, სწორედ ამ მიზეზით მათ უნდოდათ კონცერტის ჩაშლა და პლაკატის ჩამოხევა, რომელზეც იყო წარწერა - „ებრაული თემი გისურვებთ მხიარულ ხანუკას“, თუმცა პოლიციამ მათ ხელი შეუშალა.

პირები, რომელთაც სადღესასწაულოდ გაკრული პლაკატები ჩამოხიეს და ტრიბუნა დააზიანეს, პოლიციამ დააკავა. გუშინ მათ სასამართლომ 100-ლარიანი ჯარიმა დააკისრა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ეუთოს მინისტერიალი კიევში პროტესტის ფონზე მიმდინარეობს

ივა შილაკაძე

უკრაინის ხელისუფლებაც და ოპოზიციაც თითქოს გამოთქვამენ მზადყოფნას მოლაპარაკებების გამართვისთვის, მაგრამ დიალოგის დასაწყებად ორივე მხარეს თავისი პირობები აქვს და ამ ეტაპზე კომპრომისის მიღწევა შეუძლებელი ჩანს.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643	⇓
1 ევრო	2.2110	⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933	⇓
1 თურქული ლირა	0.8622	⇓
100 რუსული რუბლი	5.0433	⇓

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

სანიკიძე-შერმადინის ტანდემმა „სარაგოსას„ მოაგებინა

გიგა გურასაშვილი

გიორგი შერმადინისა და ვიქტორ სანიკიძის „სარაგოსამ“ ევროთასის მე-8 ტურში მეხუთე გამარჯვება იზეიმა, მოგებულ მატჩში კი ლომის წილი სწორედ ქართველ ლეგიონერებზე მოდის, რომლებმაც გერმანულ „ტელეკომს“ გასაქანი არ მისცეს. მართალია, არაგონელებმა პირველი მეოთხედი 10:20 დათმეს, მაგრამ საბოლოოდ სტუმრები მაინც დაამარცხეს - 71:60

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

გოგონა სახელად კერტუ

თბილისის კინოფესტივალზე ულრიხ ზაიდლის ტრილოგიის ჩვენება დასრულდა

ია ვეკუა

თბილისის წლევანდელი კინოფესტივალი კარგი დასწრებით გამოირჩევა. მართალია, დილის სეანსებს ნაკლები მაყურებელი ჰყავს, მოგვიანებით მათი რაოდენობა სულ უფრო იმატებს. ეს, ცხადია, პროგრამის დამსახურებაა, რომელიც ყოველთვის ტოვებს უკეთესის სურვილს, თუმცა დღის განმავლობაში მაინც შეიძლება, სულ მცირე, ორი კარგი ფილმის ნახვა. მაყურებლის სიმრავლით ერთი პრობლემაც იმატებს - დარბაზიდან ხშირი გასვლა, შემოსვლა, სიბნელეში ადგილების ძიება, რაც კარგ მაყურებელს დისკომფორტს უქმნის, რომ აღარაფერი ვთქვათ ჟიურიზე, რომლის წევრებსაც ზოგჯერ თავად უწევთ შენიშვნის მიცემა, რაც, ცოტა არ იყოს, სამარცხვინოა.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

პოლიტსაბჭოს რეაგირება პატრიარქის კრიტიკაზე

პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, ოთხ დეკემბერს პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტსაბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა. პარტიის პოლიტიკური საბჭოს წევრებმა საორგანიზაციო-სტრუქტურულ საკითხებზე იმსჯელეს. სხდომაზე გადაწყდა, რომ პარტიის პოლიტიკური მდივანი გია ვოლსკი, იურიდიული საკითხების მდივანი - ირინა იმერლიშვილი, საერთაშორისო საკითხების მდივანი - არმაზ ახვლედიანი იქნება, ახალგაზრდულ ფრთას კი ირაკლი გვილავა უხელმძღვანელებს.

სხდომაზე ასევე , პატრიარქის მიერ გაკრიტიკებულ თვითმმართველობების რეფორმაზეც იმსჯელეს. საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ განაცხადა, რომ თუ კანონი განხორციელდა, ეს საქართველოს დაშლა იქნება.

მთავრობის მიერ ინიცირებულ საკანონმდებლო პაკეტზე დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის საპარლამენტო კომიტეტს და მის გარდა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტებს დღეს უნდა ემსჯელათ, თუმცა სხდომები არსებული ინფორმაციით, 10 დეკემბრისთვის გაიდაიდო.

პარლამენტი თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, იმ რისკებს, რასაც ილია მეორე თვითმართველობის კანონში ხედავს, ხელისუფლების წარმომადგენლებიც ხედავენ.

„პოლიტსაბჭოზეც გავაგრძელეთ მსჯელობა, კონკრეტულად მოხდა გაზიარება და გაცვლა, იმ შენიშვნების დეპუტატებისა და ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან, რომელიც აქვთ ამ რეფორმასთან დაკავშირებით. საერთო ჯამში ის პოზიცია, რომელიც ჩამოგვიყალიბდა, მთლიანობაში ემთხვევა პატრიარქის პოზიციას“, - განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა.

მისივე თქმით, საკომიტეტო მოსმენებზე უკვე დაფიქსირდა კონკრეტული შენიშვნები და შესწორებები, რომელიც მმართველ ძალაში არის და შესაბამისად, თვითმმართველობის კოდექსის ამ დროისთვის წარმოდგენილ პროექტში ცვლილებები შევა.

პარლამენტის ვიცესპიკერის მანანა კობახიძის განცხადებით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ თვითმმართველობის კოდექსის პროექტზე გაკეთებული განცხადებების შემდეგ, უწმინდესს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები - პრემიერი და პარლამენტის თავმჯდომარე შეხვდნენ და დეტალურად მოახსენეს პატრიარქს თვითმმართველობის კოდექსში ჩადებული დებულებების შესახებ და დეტალური განმარტებები გააკეთეს.

საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი ტრიპოლსკის და მისი პირველი მოადგილის გია ჟორჟოლიანის განცხადებით , თვითმმართველობის რეფორმის მიმართულებით მიღებული იქნება გადაწყვეტილებები, რომლებიც ქვეყნის განვითარებას და დემოკრატიის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ პროექტთან და მის გარშემო წარმოქმნილ დისკუსიასთან დაკავშირებით ტრიპოლსკიმ და ჟორჟოლიანმა შვეიცარიიდან ერთობლივი განცხადება გაავრცელეს.

„ჩვენ ამ დისკუსიას მივესალმებით, რადგან მიგვაჩნია, რომ საკითხი საერთო საქვეყნო მნიშვნელობისაა და აუცილებელია ის გადაწყდეს ფართო საზოგადოებრივი დისკუსიისა და კონსენსუსის პირობებში. ჩვენ აქტიურად ვიყავით ჩართულები მიმდინარე დისკუსიებში, მაგრამ ამ დღეებში სამწუხაროდ ვერ ვახერხებთ ჩართვას მიმდინარე მსჯელობებში, რადგან თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების პოლიტიკის გამოცდილების გაზიარების მიზნით სამუშაო ვიზიტით ვიმყოფებით თვითმმართველობის მიმართულებით ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ ქვეყანაში - შვეიცარიაში.

ორი დღის შემდეგ ჩვენ ვბრუნდებით საქართველოში. დაგეგმილი გვაქვს შეხვედრები როგორც სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფებთან, ასევე არასაპარლამენტო პარტიების წარმომადგენლებთან.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა დაინტერესებულ ჯგუფს, მოგვაწოდონ მოსაზრებები საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტში და აქტიური მონაწილეობა მიიღონ პარლამენტის საკომიტეტო მოსმენებსა და განხილვებში.

ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ფართო საზოგადოებრივი და საპარლამენტო განხილვების შედეგად მივიღებთ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყნის განვითარებასა და დემოკრატიის დამკვიდრებას“, - განაცხადეს დეპუტატებმა.

„ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრის და დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის საპარლამენტო კომიტეტების ხელმძღვანელის ზურაბ ტყემალაძის განცხადებით, მიღებულია პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ თვითმმართველობის კოდექსის მიღება პარლამენტმა არ იჩქაროს და ამ პროცესში ყველა დაინტერესებული ძალა და ორგანიზაცია ჩაერთოს.

„ითქვა, რომ კოდექსში წარმოდგენილია საკითხები, არის დეტალები, რასაც დაზუსტება და დამატებით მუშაობა სჭირდება. ჩვენი გადაწყვეტილებაა, რომ არ ვიჩქაროთ. თვითმმართველობის რეფორმა ქვეყანაში ფართო კონსესუსის საგანი უნდა გახდეს. ამიტომ პროექტის განხილვაში ყველა დაინტერესებული მხარე და ორგანიზაცია უნდა ჩაერთოს. ამ თემაზე პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი 10 დეკემბერს იმსჯელებს და ყველას მოვუწოდებ, მიიღოს კომიტეტის სხდომაში მონაწილეობა“, - განაცხადა ტყემალაძემ.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თამარ კორძაია კი, მიიჩნევს, რომ თვითმმართველობების რეფორმა სულაც არ არის დამღუპველი.

„საზოგადოებას სრულიად შემაშფოთებლად აწვდიან ინფორმაციას თითქოს თვითმმართველობის რეფორმა ქვეყნის დაშლას გამოიწვევს , - განაცხადა თამარ კორძაიამ.

მისივე თქმით, მას არც ერთი სერიოზული არგუმენტი არ მოუსმენია რატომ გამოიწვევს კანონი მიღების შემთხვევაში ქვეყნის დაშლას.

„ვერ გავიზიარებ პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ ეს კანონი დაიწერა და განიხილებოდა ფარულად. კანონპროექტის ავტორები რეგიონებში ატარებდნენ შეხვედრებს სწორედ ამ საკითხზე. ვერ გავიზიარებ იმ მოსაზრებებს, როდესაც საზოგადოებას სრულიად დაუსაბუთებლად აწვდიან შემაშფოთებელ ინფორმაციას თითქოს ეს გამოიწვევს ქვეყნის დაშლას. ამასთან დაკავშირებით მე არ მომისმენია არც ერთი სერიოზული არგუმენტი, საქმიანი მოსაზრება, ამიტომაც მაქვს მსგავსი რეაქცია როდესაც ვისმენ, რომ შესაძლოა ეს კანონი დამღუველი იყოს ჩვენი ქვეყნისთვის. დამღუპველი არ იქნება ეს ფაქტია და პირიქით, დაპირება იყო ხელისუფლების, რომ ძირეული რეფორმა მოხდებოდა“, - განაცხადა კორძაიამ და აღნიშნა, რომ ასევე დაუსაბუთებელია მოსაზრებები სეპარატიზმის საფრთხესთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ცვლილებებს წარმოდგენილ კანონპროექტში, როგორც კორძაია აცხადებს, ის შეიძლება გონივრული აზრის წარმოდგენის შემთხვევაში მოხდეს.

„ცვლილება შესაძლოა განხორციელდეს ნებისმიერი გონივრული აზრის მოსმენის შემდეგ. დღევანდელ პარლამენტს არ შეიძლება ბრალი დასდო იმაში, რომ ის საზოგადოებასთან არ თანამშრომლობს. ყველა კანონი საზოგადოების აქტიური მონაწილეობის შედეგად იყო მიღებული“, - განაცხადა თამარ კორძაიამ.

თვითმმართველობის კოდექს აკრიტიკებს საპარლამენტო უმცირესობაც, თუმცა „ნაციონალურ მოძრაობაში“ ამბობენ, რომ „იმ წუხილებს, რომელიც იყო გამოთქმული პატრიარქის მიერ“ არ იზიარებენ.

აკაკი მინაშვილის განცხადებით, „ნაციონალურ მოძრაობას“ თვითმმართველობის კოდექსთან დაკავშირებით ორი ზოგადი წუხილი აქვს.

მინაშვილის განცხადებით, საერაუდოდ, თვითმმართველობაში და ზოგადად, სახელმწიფოში ძალიან იზრდება ბიუროკრატია. მისივე შეფასებით, აღნიშნული ქვეყნისთვის დამატებით ხარჯებს გულისხმობს, რაც ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებს. აკაკი მინაშვილის განცხადებით, მეორე საკითხია ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი ძალიან ბუნდოვანი რეფორმა. უმცირესობის წარმომადგენლის შეფასებით, ძალიან მნიშვნელოვან კითხვებზე არავითარი პასუხი არ არსებობს.

„შთაბეჭდილება რჩება, რომ თავად ხელისუფლებას და არც ბატონ ნარმანიას, რომელიც აღნიშნული რეფორმის ავტორია, არ აქვს კონკრეტული წარმოდგენა და ჩამოყალიბებული პოზიცია რაღაც მთავარ მიმართულებასთან დაკავშირებით, ამიტომ ახლა საქმიან დისკუსიაში შესვლა წარმოუდგენელია“, - განაცხადა აკაკი მინაშვილმა.

უმცირესობის წარმომადგენელმა იმედი გამოთქვა, რომ საკომიტეტო მოსმენებზე ხელისუფლებას ექნება კონკრეტული ხედვები. ამასთან, უმცირესობა თანამდებობის პირების არჩევითობას მხარს დაუჭერს.

როგორც აკაკი მინაშვილმა აღნიშნა, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებია, რომ არჩევნებამდე ერთი წლის განმავლობაში სერიოზული ცვლილებები არ უნდა განხორციელდეს.

„რაც შეეხება იმ წუხილებს, რომელიც იყო გამოთქმული პატრიარქის მიერ, ჩვენ ამ მიმართულებით წუხილები არ გაგვაჩნია“, - განაცხადა დეპუტატმა.

მისივე თქმით, სამოქალაქო, საერო და სასულიერო სფეროები გამიჯნულია საქართველოში. როგორც დეპუტატმა აღნიშნა, გამიჯვნა ემსახურება იმას, რომ დაცული იყოს რელიგიის თავისუფლება და ეკლესიის ინტერესები.

საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები თვითმმართველობის კოდექსთან დაკავშირებით ერთობლივ განცხადებას ავრცელებენ, რომელშიც საქართველოს მთავრობას და პარლამენტს მოუწოდებენ არ შეაჩერონ თვითმმართველობის რეფორმა.

23 ორგანიზაცია, რომლებიც კოდექსის შემუშავებაში იყვნენ ჩართულები აცხადებენ, რომ გადაჭარბებულია კრიტიკა იმასთან დაკავშირებით, რომ თვითმმართველობის კოდექსი სეპარატიზმის საფრთხეს შეიცავს.

«ჩვენ, არასამთავრობო ორგანიზაციებს მიგვაჩნია, რომ მოქალაქეთა მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების იდეა წარმოადგენს უმთავრეს ფასეულობას, რომელსაც ემყარება დემოკრატიული მმართველობის მთელი სისტემა. მოქალაქეთა უფლება, მონაწილეობა მიიღონ საკუთარი, ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეების წარმართვაში, საერთოა ყველა დემოკრატიული სახელმწიფოსთვის. მხოლოდ მაღალი ლეგიტიმაციის მქონე ადგილობრივ ხელისუფლებას, მოქალაქეთა ჩართულობით შეუძლია უზრუნველყოს ეფექტური და, ამასთან, მოქალაქესთან დაახლოებული მმართველობა, ჩამოაყალიბოს ადგილებზე განვითარების სრულფასოვანი პირობები.

ქვეყნის განვითარების უმთავრესი საფუძველია ძლიერი თვითმმართველობა, სადაც მოქალაქეები საკუთარი პასუხისმგებლობით, არჩევითი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საშუალებით, სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეულახავად ახორციელებენ ამ უმნიშვნელოვანეს უფლებას, რომელიც მათ მინიჭებული აქვთ საქართველოს კონსტიტუციით და საქართველოს მიერ რატიფიცირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიით.

ვერ დავეთანხმებით მოსაზრებას, რომლის თანახმად, მოქალაქეთა მიერ ადგილობრივი საჭიროებების დამოუკიდებლად გადაწყვეტის იდეა, შესაძლოა, სეპარატიზმის გაღვივების და ქვეყნის დაქუცმაცების საფუძველი გახდეს. როგორც წესი, ამ არგუმენტს გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ხელისუფლებაში მოსული ყოველი პოლიტიკური ძალა საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ და კანონის საკუთარ თავზე მორგების მიზნით იყენებდა, რამაც, საბოლოო ჯამში, დღეს არსებულ «ფასადური“ თვითმმართველობის სრულიად უუნარო და მოქალაქეებისთვის არაფრისმომცემი სისტემის ფუნქციონირებამდე მიგვიყვანა.

მიუხედავად იმისა, რომ, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს გვაქვს გარკვეული შენიშვნები «ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ სხვადასხვა მუხლების მიმართ, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები მიუღებლად მივიჩნევთ რეფორმის ნებისმიერი დისკრედიტაციის მცდელობას, მით უმეტეს იქ, სადაც, მოქალაქეთა მიერ თვითმმართველობის უფლების განხორციელება არ მოდის წინააღმდეგობაში საქართველოს სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებთან და მის სუვერენიტეტთან, არამედ, ემსახურება ხელისუფლების ვერტიკალური დაბალანსების და მოქალაქეზე ორიენტირებული თვითმმართველობის შემოღებას.

არასამთავრობო ორგანიზაციები მოუწოდებენ საქართველოს მთავრობას და პარლამენტს, როგორც მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების რეალიზების მთავარ გარანტორს, არ აყვნენ თვითმმართველობის იდეის დისკრედიტაციის ტალღას და არ შეაჩერონ რეფორმის პროცესი;

„ნუ გადაუხვევენ წინასაარჩევნო დაპირებებს და უზრუნველყონ უახლოეს თვითმმართველობის არჩევნებამდე ისეთი საკანონმდებლო ბაზის შექმნა, სადაც, მოქალაქეებს საშუალება მიეცემათ, საკუთარი პასუხისმგებლობით, საქართველოს კონსტიტუციის და კანონმდებლობის შესაბამისად, არჩევითი ორგანოების და თანამდებობის პირების საშუალებით, თვითმმართველობაში მონაწილეობის ეფექტური ფორმების გამოყენებით განახორციელონ საკუთარი უფლებები, ხოლო რეგიონალურ დონეზე, მათ მიეცეთ შესაძლებლობა აკონტროლონ მთავრობის მიერ დანიშნული თანამდებობის პირები,“- ნათქვამია განცხადებაში, , რომელსაც ხელს 23 ორგანიზაცია აწერს, მათ შორის არიან „სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი“ (ICCC), „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ (ISFED) და „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“ (EMC).

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

„ჩიჩინი ჭრის„

პირველი გვერდიდან

წინასწარი მონაცემებით, ამ კატეგორიაში 320 სტუდენტი შედის.

შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ მთავრობის წინაშე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის სივრცის მოწყობის და არქიტექტურული დაგეგმარებითს ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის პროექტი წარადგინა. როგორც მთავრობის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტშია ნათქვამი, 5 წლის განმავლობაში საქართველოს ყველა საჯარო დაწესებულება და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის მისადგომი უნდა გახდეს. რეგლამენტი, როგორც პანდუსების მოწყობას, ასევე დამხმარე და სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებულ საკითხებს მოიცავს.

სერგეენკომ მთავრობის სხდომის შემდეგ ყველაზე დიდი დრო კი C ჰეპატიტით დაავადებულტათვის მედიკამენტების შესაძენად გამოცხადებული ტენდერის ჩაშლას დაუთმო. მინისტრის მტკიცებით, ეს ფაქტი პროექტის წარმატებაზე გავლენას ვერ იქონიებს. როგორც მინისტრი ამბობს, დაავადებული პატიმრების მკურნალობა წლის ბოლოდან დაიწყება. «ეს საკითხი მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია. შესყიდვა უკვე დავიწყეთ. იანვარში მედიკამენტები ადგილზე იქნება, იქამდე პატიმრების შემოწმება და მათთვის დანიშნულებების მომზადება დასრულდება. ყველაფერი გრაფიკის მიხედვით მიდის“, - ამბობს ჯანდაცვის მინისტრი. თუმცა, მან არ დააკონკრეტა, ელექტრონული ტენდერის უარყოფითი შედეგით დასრულების შემდეგ მედიკამენტების შესყიდვა რა ფორმით მიმდინარეობს.

ჯანდაცვის სამინისტროს კიდევ ერთი ინიციატივა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დაფუძნებას ითვალისწინებს. მთავრობის მიერ მიღებული დადგენილების მიხედვით, რაიონული სასწრაფო დახმარების სამსახურები ეტაპობრივად სახელმწიფო მართვაში გადავა. ჯანდაცვის მინისტრი გადაწყვეტილების მიზეზად რეგიონებში შექმნილ პრობლემებებს ასახელებს. **„ხდება ისე, რომ სასწრაფო დახმარების ჯგუფი გამოძახების ადგილზე საერთოდ არ მიდის, ან ძალიან დიდი დაგვიანებით ცხადდება. ამ საკითხს მთელი ერთი წლის განმავლობაში მონიტორინგს ვუწევდით. კერძო მმართველებთან მოლაპარაკების არაერთი მცდელობა გვქონდა, რათა მათ, თუნდაც მარტივი ტექნიკური საკითხების მოგვარება დაეწყოთ. თუმცა, მათგან ვერც ერთი ასეთი მცდელობა ვერ დავინახეთ. ამიტომ, სახელმწიფო თავის მოვალეობას ასრულებს, რათა მოქალაქეების უსაფრთხოება და ჯანმრთელობა უზრუნველყოს“,** - თქვა სერგეენკომ. როგორც მინისტრი დასძენს, სასწრაფო დახმარება მოსახლეობისთვის კვლავ უფასო იქნება და მომსახურება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

მთავრობის სხდომის შემდეგ პრემიერ-მინისტრთა შექმნილი ეკონომიკური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ისაუბრეს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ და ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა. როგორც კვირიკაშვილი ამბობს, თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტის განხორციელდება გაგრძელდება. კონტრაქტორ კომპანიასთან ხელშეკრულების ვადა 2016 წლამდე გაგრძელდება. ეკონომიკის მინისტრის ინფორმაციით, პროექტი იმ სახით გადამუშავდა, რომ ეკონომიკური მაჩვენებლები რკინიგზის კომპანიისთვის უფრო მომგებიანი იყოს.

დავით ნარმანის თქმით, თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის შეჩერების გადაწყვეტილება მიღებული არც ყოფილა. როგორც მინისტრი ამბობს, სს «საქართველოს რკინიზგის» დაკვეთით ავსტრიული კომპანიამ MC Mobility-მ სერიოზული ეკონომიკურ-ტექნიკური კველევა ჩაატარა, რომელმაც კვალიფიციური დასკვნა მოამზადა. ნარმანიას თქმით, პროექტის გაგრძელების გადაწყვეტილება ამ დოკუმენტზე დაყრდნობით არის მიღებული.

მთავრობის გადაწყვეტილებას თბილისის მერი გიგი უგულავა გამოეხმაურა.

„ძალიან კარგია, რომ მთავრობამ საბოლოოდ თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობის დასრულება გადაწყვიტა. ამით, ჩვენ დავინახეთ, რომ ჩიჩინი ჭრის. მთავრობა, როდესაც საზოგადოების და ქალაქის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას იღებს, თითოეულმა მოქალაქემ აუცილებლად ხმა უნდა ამოიღოს. ახლა მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესს მონიტორინგი გავუწიოთ, რადგან ერთია გადაწყვეტილება და კონტრაქტორისთვის ხელშეკრულების ვადის გაგრძელება და მეორე - სამუშაოების დაწყება. ჩვენ არ მოვისვენებთ, სანამ მუშებს არ დავინახავთ იმ ადგილებში და, შესაბამისად - რეალურ პერსპექტივას, რომ ეს რკინიგზა დასრულდება და ქალაქისთვის 80 ჰექტარი გათავისუფლდება“, - ამბობს გიგი უგულავა. მერის შეფასებით, ღარიბაშვილის მთავრობა ოპერატიულობით ივანიშვილისას სჯობია.

მთავრობის სხდომაზე ერთი საკითხი წარადგინა ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა. როგორც ხადური ამბობს, 82 კომპანიასთან საგადასახადო შეთანხმება გაფორმდება, რომლის თანახმად, ჯარიმა-საურავების მქონე ის კომპანიები, რომლებსაც ძირითადი დავალიანების გადახდის საშუალება აქვთ, სანქცია-საურავების გარკვეულ ნაწილზე შეღავათებით ისარგებლებენ.

საკუთარი ინფორმაცია

100-ლარიანი ჯარიმა ხანუკას გაპროტესტებისთვის

პირველი გვერდიდან

„ორივე პირს სასამართლომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის დააკისრა სახდელი 100-100 ლარის ოდენობით“, - აცხადებენ თბილისის საქალაქო სასამართლოში.

აღნიშნულ პირებს ბრალი ედებოდათ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, რაც წვრილმან ხულიგნობას გულისხმობს.

რაც შეეხება საპატრიარქოს პოზიციას, პატრიარქის მდივანი მიქაელ ბოტკოველი ამბობს, რომ ის გასულ ღამეს თბილისში არ იმყოფებოდა და ხანუკას დღესასწაულზე მომხდარი ინციდენტის შესახებ არაფერი იცის.

„თავისუფლების მოედანზე რა ხდებოდა, არ ვიცი მე. დაკითხვაზე ვარ, თუ რა? თავხედობას თავი დაანებეთ! მღვდელი რომ გეუბნებათ, არ ვიციო, უნდა დაიჯეროთ. პირველად მესმის. გეუბნებით, რომ არ ვიცი და კარგად რომ ჩამეკითხები, კარგად გაგცემ პასუხს? დავბრუნდი ამ დილას თბილისში, ახლა მოგიყვეთ სად ვიყავი?“ -განუცხადა „ნეტგაზეთს“ ბოტკოველმა.

მავთულხლართების თემა ეუთო-ს მინისტერიალზე

პირველი გვერდიდან

მინისტერიალის ძირითადი სესიის გახსნამდე ეუთო-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნები ფორუმს ორმხრივი შეხვედრებისთვის იყენებენ. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე ეუთო-ს თავმჯდომარე ქვეყნის, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრს ლეონიდ კოჟარას შეხვდა. **ჩვენ იმ საკითხების შესახებ ვისაუბრეთ, რაც უკრაინის მხრიდან ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზი გახდა. მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროცესი დამთავრებული არ არის. მოლაპარაკებების ახალი რაუნდები იგეგმება და ეს პროცესი შეიძლება ისე დასრულდეს, როგორც დაგეგმილი იყო,“** - თქვა მაია ფანჯიკიძემ.

მაია ფანჯიკიძე, აგრეთვე, შეხვდა მალტის საგარეო საქმეთა მინისტრს ჯორჯ ველასს, ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ერკი ტუომიოიას, ნორვეგიის საგარეო საქმეთა მინისტრს ბორგ ბრენდესს და ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ზეევ ელკინს.

კოლეგების გარდა მაია ფანჯიკიძე ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) დირექტორს იანეშ ლენარჩიჩს და ეუთო-ს უმაღლეს კომისარს ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში ასტრიდ თორს ესაუბრა.

იანეშ ლენარჩიჩთან შეხვედრაზე საუბარი შეეხო «ოდირ»-თან საქართველოს თანამშრომლობის საკითხებს. «ოდირ»-ის დირექტორმა 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები დადებითად შეაფასა. ლენარჩიჩის თქმით, ოფისი ახლო მომავალში საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ საბოლოო დასკვნას გამოაქვეყნებს, რომელსაც, არჩევნების შეფასებასთან ერთად, სარეკომენდაციო ხასიათის ნაწილიც ექნება.

ასტრიდ თორთან შეხვედრა გაცნობით ხასიათს ატარებდა. მან ამ თანამდებობაზე კნუტ ვოლებეკი შეცვალა. მაია ფანჯიკიძემ და უმაღლესმა კომისარმა საოკუპაციო ხაზის გასწვრივ არსებული ვითარება განიხილეს. მათ რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ მავთულხლართებისა და მიწათხრილების მოწყობის პროცესის შედეგად შექმნილი მძიმე ჰუმანიტარული ვითარების შესახებ ისაუბრეს. როგორც უმაღლესმა კომისარმა აღნიშნა, მისი ოფისი მანდატით მინიჭებულ უფლებებს სრულად გამოიყენებს, ვითარებას შეისწავლის და რეაგირებას მოახდენს.

საკუთარი ინფორმაცია

თბილისის მერი საკადრო პოლიტიკის საკითხებში არ შეიზღუდება

მთავრობის მიერ ინიცირებული თვითმმართველობის კოდექსის პროექტით, თბილისის მერი საკადრო პოლიტიკის საკითხებში შეზღუდული არ იქნება.

პარლამენტში წარდგენილი პროექტის თანახმად, თანამდებობაზე თბილისის მერი დანიშნავს და მოხსნის მერიის სტუქტურული ერთეულების ხელმძღვანელს და მის მოადგილეს, ასევე დანიშნავს და მოხსნის თბილისის რაიონის გამგებლებს.

ეს დღესაც ასე ხდება, თუმცა პარლამენტს დაახლოებით ერთი თვის წინ დეპუტატების ირაკლი ტრიპოლსკის და გიორგი ჟორჟოლიანის საკანონმდებლო ინიციატივა წარედგინა, რომლის თანახმად, მერს აღმსარულებელი ხელისუფლების ფარგლებში თანამდებობის პირების დასანიშნად საკრებულოს თანხმობა სჭირდებოდა.

აღნიშნული კანონპროექტი ავტორებმა პარლამენტიდან მალევე იმ მოტივაციით გაიწვიეს, რომ მისი განხილვა ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის და შესაბამისი კოდექსის ფარგლებში მოხდებოდა, თუმცა წარდგენილი პაკეტი საკადრო პოლიტიკის საკითხებში თბილისის მერის უფლებამოსილების შეზღუდვას არ ითვალისწინებს.

ვიქტორია ნულანდი თბილისში ოფიციალურ შეხვედრებს ხვალ დილიდან დაიწყებს

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ვიქტორია ნულანდი თბილისში ოფიციალურ შეხვედრებს დღეს დილიდან დაიწყებს.

აშშ-ის საელჩოს ცნობით, ვიზიტის ფარგლებში ვიქტორია ნულანდი საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, თავდაცვისა და იუსტიციის მინისტრს შეხვდება.

დაგეგმილია შეხვედრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესა და საპარლამენტო უმცირესობის ლიდერთან, ასევე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან.

ერთდღიან ვიზიტს ვიქტორია ნულანდი დღის მეორე ნახევარში, პრესკონფერენციაზე შეაჯამებს.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, ვიქტორია ნულანდი თბილისიდან მოსკოვში მიემგზავრება. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე რუსეთის მთავრობის მაღალჩინოსნებს შეხვდება და განიხილავს როგორც ორმხრივ, ისე გლობალურ საკითხებს. დაგეგმილია შეხვედრები ექსპერტებსა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან.

საქართველოს პრეზიდენტი ხელზე 7 200 ლარს მიიღებს

საქართველოს პრეზიდენტის ხელფასი პრეზიდენტის ადმინისტრაციის არსებული დაფინანსების ფარგლებში გაიზრდება, - ამის შესახებ ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის დაწყებამდე ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განუცხადა.

მისივე განმარტებით, გიორგი მარგველაშვილის შრომის ერთადერთი ანაზღაურება, წინამორბედისგან განსხვავებით, ხელფასია.

„საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მნიშვნელოვანი ცვლილებებია დაგეგმილი, მათ შორის - შემცირებები, ვინაიდან აპარატს იმდენი ფუნქცია აღარ ექნება და რესურსი საკმარისი იქნება შრომის ანაზღაურების მოსაწესრიგებლად. პრეზიდენტის ხელფასის გაზრდა სრულიად შესაძლებელია არსებული დაფინანსების ფარგლებში. ძალიან ბევრი ხარჯი, რომელსაც წევდა წინა პრეზიდენტი, არ იქნება გაწეული. 9 ათასი ლარიდან პრეზიდენტი ხელზე აიღებს მხოლოდ 7 200 ლარს“, - აღნიშნა ხადურმა.

საქართველოს პრეზიდენტის ხელფასი ამ დროისთვის 4 720 ლარია.

ავღანეთში ქართულმა ბატალიონმა მორიგი სამხედრო ოპერაცია წარმატებით განახორციელა

ავღანეთში, ISAF-ის მისიის ფარგლებში, ბათუმის ცალკეულმა მსუბუქმა ქვეითმა ბატალიონმა თავის სამოქმედო არეალში მორიგი სამხედრო ოპერაცია წარმატებით თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ბატალიონის „ბრავო“ ასეულის ერთმა ოცეულმა ოპერაცია, კოდური სახელით „გორდა II“ სოფელ კარეზ საფედში ჩაატარა.

სოფელი რაიონში მოწინააღმდეგის აქტიურობით გამორჩეოდა. ბოლო სამი წლის განმავლობაში, დასახლებაში ხელნაკეთი ასაფეთქებელი ნივთიერებების აფეთქების 30-ზე მეტი ფაქტი დაფიქსირდა. ამავე სოფელში, ბათუმის ბატალიონის წინამორბედმა 42-ე ბატალიონმა IED-ი ბომბების სამალავი აღმოაჩინა.

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ბათუმის ცალკეულმა მსუბუქმა ქვეითმა ბატალიონმა „ბრავო“ ასეულის ოცეულს სოფელში ოპერაციის ჩატარება დაავალა. ჯარისკაცებმა სასურველი ინფორმაციის მოპოვება შეძლეს და ოპერაცია წარმატებით დაასრულეს. კომბინირებულ ოპერაციაში ქართველ და ამერიკელ ქვეითებთან ერთად, ჯავშანმანქანა „MRAP“-ებიც მონაწილეობდა. კოალიციის ჯარისკაცების საჰაერო უსაფრთხოებას უპილოტო საფრენი აპარატი და „სუპერ კობრა“ მოდელის ორი საბრძოლო ვერტმფრენი უზრუნველყოფდა.

ყოფილმა სამართალდამცავმა გელა მებონიამ თავი მოიკლა

ორგანიზაცია „საქართველოს არწივის“ ხელმძღვანელმა, ყოფილმა სამართალდამცავმა გელა მებონიამ მოსკოვში, საკუთარ სახლში თავი მოიკლა.

როგორც „საქართველოს არწივის“ ყოფილმა თანამშრომლებმა განაცხადეს, მებონიამ ჯერ დიდი რაოდენობით აბები დალია, შემდეგ კი, ვენები გადაიჭრა.

მათი ინფორმაციით, ოჯახის წევრებმა სასწრაფო დახმარება გამოიძახეს, თუმცა გელა მებონიას გადარჩენა ვერ მოხერხდა.

თვითმკვლელობის სავარაუდო მიზეზი ყოფილი თანამშრომლების ინფორმაციით, შესაძლოა ფინანსური პრობლემები ყოფილიყო.

მათი ცნობით, მებონიას ვალების გარდა, სხვა პირადი პრობლემებიც ჰქონდა.

ამასთან, გელა მებონია ბოლო თვეების განმავლობაში აქტიურობდა, გამართა რამდენიმე პრესკონფერენციაც და აცხადებდა, რომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის პერიოდშიც პოლიციელი იყო და საქმის დეტალებზე ჰქონდა ინფორმაცია.

თავდასხმა იემენის თავდაცვის სამინისტროზე

ხუთშაბათს იემენის თავდაცვის სამინისტროს შენობების კომპლექსთან დანაღმული მანქანა აფეთქდა, შემდეგ კი თავდამსხმელთა ჯგუფი სამინისტროშიც შეიჭრა. მთლიანობაში ინციდენტის შედეგად, სულ მცირე, 29 ადამიანი დაიღუპა ხოლო 70-ზე მეტი კაცი კი დაიჭრა. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა „როიტერს“ განუცხადა, რომ აფეთქება სამუშაო საათების დაწყებისთანავე, უწყების შესასვლელთან მოხდა. შემდეგ სამხედრო ფორმაში გადაცმული პირების მოზრდილმა ჯგუფმა სამინისტროში შევარდნაც მოახერხა. შემთხვევის ადგილზე სწრაფად მისულ სამართალდამცავებსა და თავდამსხმელებს შორის დაიწყო ორმხრივი სროლა, რის შედეგადაც არაბული ტელეარხების ცნობით სულ ცოტა 30 თავდამსხმელი ლიკვიდირებულია. თავდასხმაში მოჰყვა კომპლექსში შემავალი სამხედრო ჰოსპიტლის შენობაც, სადაც დაღუპულია სულ მცირე ორი უცხოელი ექიმი.

სამინისტროს შენობაში დაიწყო ძლიერი ხანძარი, ცეცხლი მოეკიდა აფეთქების ადგილის გარშემო მდგარ ავტომობილებსაც. თავდახმაზე პასუხისმგებლობა ჯერ არავის აუღია, თუმცა ხელისუფლება ვარაუდობს, რომ ტერაქტის უკან დგას «ალ-ქაიდას» ქსელში შემავალი რომელიმე დაჯგუფება. იემენის სამხერთში და აღმოსავლეთში ძლიერია ტერორისტული ქსელის ფაქტობრივად ერთ-ერთი მთავარი ფილიალის «ალ-ქაიდა არაბეთის ნახევარკუნძულზე» პოზიციები.

ერაყში განხორციელებულ თავდასხმებს 11 ადამიანი ემსხვერპლა

„როიტერის“ ცნობით, ჩრდილოეთ ერაყში პოლიციის შტაბ-ბინასთან და მიმდებარე მაღაზიაში მომხდარ თავდასხმებს 11 ადამიანი ემსხვერპლა და 70 დაშავდა. პოლიციის განცხადებით, ქალაქ კირკუკში ორი თვითმკვლელი მაღაზიაში შევიდა და 15 ადამიანი აიყვანა მძევლად. უსაფრთხოების ძალების მისვლის შემდეგ, ერთმა თვითმკვლელმა თავი აიფეთქა, მეორე კი ქუთრების უსფრთხოების ძალებმა მოკლეს. ამ დროისათვის მომხდარზე პასუხისმგებლობა არცერთ დაჯგუფებას არ აუღია; თუმცა ამ რეგიონში თავდასხმებს ხშირად აწყობენ სუნიტი შეიარაღებული ჯგუფები, რომელთაც „ალ ქაიდასთან“ აქვთ კავშირი.

ბაიდენი ჩინეთის ახალი საჰაერო ზონის შესახებ

ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა, რომელიც ოთხშაბათს ჩინეთში ჩავიდა, განაცხადა, რომ ჩინეთის მიერ აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვის რაიონში „ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ზონის“ გამოცხადება რეგიონში დაძაბულობის გაძლიერებას უწყობს ხელს. „როიტერის“ ცნობით, ბაიდენის ამ გაცხადების საპასუხოდ ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ ეს ზონა საერთაშორისო სამართალთან შესაბამისობაში მოდის და მას ამერიკამ პატივი უნდა სცეს. ამ თემაზე ბაიდენმა ჩინეთის ლიდერთან სი ძინპინთან შეხვედრის დროსაც ისაუბრა. ამ ახალი ზონის შექმნის შესახებ ჩინეთმა 23 ნოემბერს გააკეთა განცხდება, რასაც ამერიკის, იაპონიისა და სამხრეთ კორეის პროტესტი მოჰყვა. ჩინეთის განცხადებით, ყველა ფრენა წინასწარ ჩინეთის ხელისუფლებასთან უნდა იქნეს შეთანხმებული. ამ ქვეყნების თვითმფრინავები ამ განცხადების შემდეგ უკვე შევიდნენ აღნიშნულ ზონაში ისე, რომ ჩინეთის ხელისუფლებისათვის წინასწარ არ უცნობებიათ. ჯო ბაიდენი ხუთშაბათს ჩინეთის პრემიერს ლი კეციანს შეხვდა, რის შემდეგაც სამხრეთ კორეაში გაემგზავრა.

სომხეთისა და აზერბაიჯანის მორიგი შეხვედრა ყარაბღის კონფლიქტზე

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების ეუთოს მინსკის ჯგუფის მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდის ჩარჩოებში, კიევში, ერომანეთს ცალკე შეხვდნენ სომხეთისა და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრები ედუარდ ნალბანდიანი და ელმარ მამედიაროვი. ამის შესახებ სომხეთის დიპლომატიურმა უწყებამ განაცხადა. გავრცელებული ინფორმაციით სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავარი დიპლომატები თავდაპირველად პირისპირ შეხვნენ ერთმანეთს, შემდეგ კი მათ ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეები შეუერთდნენ. სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში საუბარია, რომ მხარეები შეთანხდნენ არაბაღის თემაზე უახლოესი კვირების განმავლობაში განაახლონ მსჯელობა. ეუთოს მინსკის ჯგუფის წარმომდგენლები კი გეგმავენ რეგიონს ეწვიონ. ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეები არიან: ამერიკა (ჯეიმს უორლიკი), რუსეთი (იგორ პოპოვი) და საფრანგეთი (ჟაკ ფორი).

ჩეჩნეთში სირიელი შეირაღებული მებრძოლების წინააღმდეგ სპეცდანაყოფი იქმნება

ჩეჩნეთის ლიდერის რამზან კადიროვის განცხადებით, რეგიონში სპეცდანაყოფები მზადდება, რომლებიც აუცილებლობის შემთხვევაში იმ სირიელი შეირაღებული მებრძოლების განეიტრალებაში მიიღებენ მონაწილეობას, რომლებიც რუსეთის ფედერაციას უქმნიან საფრთხეს. ამის შესახებ „რია ნოვოსტი“ იუწყება. „ხალხი შეშფოთებას გამოთქვამს. ამის შესახებ ღიად საუბრობენ თანამდებობის პირებიც. ჩვენ ვიცით რა ადამიანური მსხვერპლი და ნგრევა მოჰყვება ტერორისტებისა და ვაჰაბიტების თავდასხმებს. ამის გამო რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოები პრევენციულ ზომებს იღებენ,“ - განაცხადა კადიროვმა. ჩეჩნეთის ლიდერის თქმით, სირიაში მოქმედმა ტერორისტებმა უნდა იცოდნენ, რომ «თუ აქ შემოსვლა გადაწყვიტეს მათ მომზადებული დავხვდებით. ეს ბანდიტები ყოველდღე ავრცელებენ ვიდეორგოლებს, სადაც ირწმუნებიან რომ სირიის შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში გადაინაცვლებენ და ტერორისტულ აქტებს განახორციელებენ. ჩვენ ამ მუქარის წყნარად მოსმენა და მოცდა არ შეგვიძლია,“ - აღნიშნა კადიროვმა.

მოამზადა თამთა კახაძემ

ეუთოს მინისტერიალი კიევში პროტესტის ფონზე მიმდინარეობს

პირველი გვერდიდან

გამოჩნდა ისიც, რომ მათ ამისთვის დასჭირდებათ შუამავალიც. როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიცის აზრით ამ ფუნქციების შესრულება მხოლოდ ევროპელ პოლიტიკოსებს შეუძლიათ. აქციები კიევში და სხვა ქალაქებშიც ისევ მიმდინარეობს. პარალელურად კიევში ტარდება ეუთოს წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, რადგან უკრაინა ამჟამად ეუთოს თავმჯდომარეობს. სხვათაშორის, ზოგი სახელმწიფოს მინისტრი არ ჩავიდა ამ მინისტერიალში მონაწილეობის მისაღებად, რისი მთავარი მიზეზიც გახდა უკრაინის ხელისუფლების მიერ ევროინტეგრაციის დროებით შეჩერება და 30 ნოემბერს, გამთენიისას, „ევრომაიდანის“ სასტიკი დარბევა.

ევროინტეგრაციის მომხრეები კვლავ აგრძელებენ მინისტრთა კაბინეტის შენობის ბლოკირებას. ისინი ძირითადად ნაციონალისტური „თავისუფლების“ წარმომადგენლები არიან. მთავრობის მონინააღმდეგეების კარვების ქალაქი ისევ გაშლილია დამოუკიდებლობის მოედანზე. დემოსტრანტებს დაკავებული აქვთ აგრეთვე ქალაქის მერიის, პროფკავშირების სახლისა და „ოქტომბრის სასახლის“ პირველი სართულები, სადაც აქვთ მოწყობილი შტაბები და „დასვენებისა და გათბობის“ ცენტრები. იქ აქციების მონაწილეებს შემოწირულების ხარჯზე უფასოდ კვებავენ და ცხელ ჩაის სთავაზობენ. თუმცა გათბობა მოედანზეც აუცილებელია, რადგან კიევში უკვე საკმაოდ ცივა. იქაც კოცონები აქვთ დანთებული რკინის კასრებში, მოხალისეები კი მათთვის დიდ ქვაბებში საჭმელს ამზადებენ.

გუშინ მომიტინგეებთან მივიდა სასამართლოს აღმასრულებელი და წაუკითხა სასამართლოს დადგენილება, რომლის თანახმადაც აქციის მონაწილეებმა 5 დღეში უნდა შეწყვიტონ ადმინისტრაციული შენობების ბლოკირება და გაათავისუფლონ ზემოხსენებული დაკავებული შენობები. წინაალმდეგ შემთხვევაში მილიცია შესაბამის ზომებს მიღებს. არავის დაუზუსტებია, თუ რა იგულისხმება ამ „შესაბამის ზომებში“. სასამართლო აღმასრულებელს ხალხი შეხვდა შეძახილებით „განბა“ (სირცხვილი). დაკავებული შენობების გათავისუფლებისკენ დემონსტრანტებს მოუწოდა გენერალურმა პროკურორმა ვიქტორ პშონკამაც. ხალხს კანონსაწინააღმდეგო ქმედებებისგან თავის შეკავება ურჩია აგრეთვე შინაგან საქმეთა მინისტრმა ვიტალი ზახარჩენკომ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ უმაღლესი რადას შენობების კომპლექსის მეორე მხარეს მეორე დღეა გაშლილია პრეზიდენტ იანუკოვიჩის მომხრეთა კარვების პატარა ქალაქიც, თუმცა იქ სულ სამასიოდე ადამიანი ტრიალებს.

უკრაინის პარლამენტის სხდომათა დარბაზში ოპოზიციამ „დაპირებისამებრ“ გაგრძელა ტრიბუნის, პრეზიდიუმისა და სამთავრობო ლოჟის ბლოკირება. სპიკერმა ვლადიმირ რიბაკმა ორჯერ სცადა სხდომის დაწყება, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან რეგისტრაცია არ გაიარა კანონმდებელთა საჭირო რაოდენობამ - 226-მა კაცმა. როგორც ჩანს, ოპოზიციის ბოიკოტის გარდა დაპირისპირებას თავი აარიდა უმრავლესობის წარმომადგენელთა ნაწილმაც და ისედაც ჩასაშლელად განწირულ სხდომაზე არ მივიდა. მორიგი სხდომა დღეისთვის „დანიშნეს“. ოპოზიციამ მოამზადა და უმაღლეს რადაში შეიტანა კანონპროექტი, რომელიც პოლიციის სპეციალური ქვეგანყოფილების „ბერკუტის“ დაშლას და გაუქმებას გულისხმობს. კანონპროექტში აგრეთვე გათვალისწინებულია სამხედრო წოდებების ჩამორთმევა იმ რიგითებისა და ოფიცრებისთვის, რომლებმაც ხალხი სასტიკად დაარბიეს 30 ნოემბერს. თუმცა ამ კანონპროექრტის განხილვა ალბათ მოგვიანებით, სიტუაციის ნორმალიზების შემდეგ თუ მოხდება. თვითონ „ბერკუტის“ შტაბბინასთან კი ხალხმა ავტომანქანებით მოაწყო საპროტესტო აქცია. უამრავი ავტომობილი გაჩერდა შენობის გარშემო. რითიც დაბლოკეს ყველა შესასვლელი. ჩართეს ავარიული გაბარიტული სინათლეები და სიგნალებით გამოხატეს პროტესტი დემონსტრაციის დამბრბევების მიმართ.

საპროტესტო აქციების მონაწილეები ისევ ეძებენ შაბათის დარბევისას დაკარგულ 22 ადამიანს. ვარაუდობენ, რომ ეს ხალხი დაშავებულია და მათ მკურნალობენ ბრატისლავსკის ქუჩაზე მდებარე კიევის სასწრაფო სამედიცინო დახმარების საავადმყოფოში. ამ საავადმყოფოს ერთ-ერთ განყოფილებას მილიციის გაძლიერებული რაზმი იცავს და ოპოზიციის წარმომადგენლებს ავადმყოფებთან არ უშვებენ. კიდევ 18 ადამიანი, რომელიც ასევე მიიჩნეოდა დაკარგულად, ბოლო ორი-სამი დღის განმავლობაში იპოვეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით საპროტესტო აქციების მიმდინარეობის მთელი პერიოდის განმავლობაში აღძრულია სისხლის სამართლის 64 საქმე და დაკავებულია 14 ადამიანი. საავადმყოფოში მოხვედრილთა რაოდენობა გაიზარდა 412 ადამიანამდე, აქედან 220-ზე მეტია სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელი.

ხელისუფლებაც და ოპოზიციის ლიდერებიც ხვდებიან ევროპელ შუამავლებს, მაგრამ ერთმანეთთან მოლაპარაკებების დასაწყებად საკმაოდ მძიმე პირობებს აყენებენ. ხელისუფლბა მანამდე არ აპირებს ოპოზიციასთან მოპლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომას, სანამ სამთავრობო შენობების ბლოკირება არ შეწყდება. ოპოზიცია კი მოლაპარაკებების დაწყებამდე აზაროვის კაბინეტის გადადგომას ითხოვს. ამას გარდა ოპოზიციამ ულტიმატუმი წაუყენა პრეზიდენტ იანუკოვიჩს და მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და სხვა ადმინისტრაციული შენობების სადღეღამისო ბლოკირებით იმუქრება. ოპოზიცია იანუკოვიჩისგან მოითხოვს რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნას. ულტიმატუმის ვადა დღეს გადის.

ვიცე-პრემიერმა არბუზოვმა, რომელიც სხვთაშორის მთავრობაში ევროინტეგრაციის „ზომიერ მომხრედ“ მიიჩნევა, განაცხადა, რომ ოპოზიციასთან და ხალხთან ნებისმიერი საკითხის განხილვისთვის არიან მზად, მათ შორის რიგგარეშე არჩევნებისაც კი, თუმცა მან მიანიშნა, რომ ამ სიტუაციასში ეს შეუძლებელია და ისინი შეეცდებიან ოპონენტები თავის სიმართლეში დაარწმუნონ.

კიევში კი, როგორც ზემოთ ვწერდით, მიმდინარეობს ეუთოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა. უკრაინაში ქუჩაში გამოსული ხალხი ევროპელი მინისტრებს მოუწოდებდა ბოიკოტი გამოეცხადებინათ სხდომისთვის და გამოეხატათ ევროინტეგრაციის მომხრეთა მხარდაჭერა. იგივე მოწოდება გააკეთეს ადამიანის უფლებათა დამცველმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა. კიევში არ ჩავიდნენ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი და ევროკავშირის უმაღლესი კომისარი საგარეო ურთიერთობების საკითხებში კეტრინ ეშტონი. მათ მაგალითს კიდევ რამდენიმე სახელმწიფომ მიბაძა. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი გვიდო ვესტერველე კიევში ჩავიდა. იგი შეეცადა უკრაინის ხელისუფლება დაერწმუნებინა ევროინტეგრაციის აუცილებლობაში, მან ისევ განაცხადა, რომ ევროპის კარი უკრაინისთვის ღიაა. ვესტერველე შეხვდა ოპოზიციის ლიდერებსაც იაცენიუკს, ტიაგნიბოკს და კლიჩკოს. ამ უკანასკნელთან ერთად დამოიკიდებლობის მოედანზეც მივიდა აქციის მონაწილეებისთვის მხარის დასაჭერად. კიევში კერის მაგივრად ჩასულმა მისმა მოადგილემ ვიქტორია ნულანდმა განაცხადა, რომ აშშ მხარს უჭერს უკრაინელ ხალხს, ქვეყნის ხელისუფლებას კი მოუწოდა დაუგდონ ყური ხალხის ხმას და არ გაუცრუონ მათ იმედი. მან ყველა მხარეს მოუწოდა ძალადობისგან თავის შეკავებისაკენ.

ეუთოს მინისტერიალი გახსნა პრემიერმა აზაროვმა. მან კიდევ გაიმეორა, რომ ევროინტეგრაციაში პაუზა გამოწვეულია ეკონომიკური პრობლემებით და „მეზობელი სახელმწიფოს ზეწოლით“. ქუჩაში ხალხის გამოსვლას მან უწოდა ნორმალური მოვლენა განვითარებადი დემოკრატიის მქონე სახელმწიფოსთვის. თუმცა იქვე მიანიშნა, რომ ასეთი გამოსვლების მოთხოვნით მთავრობის გადადგომა არასწორია. მან თქვა რომ ხელისუფლების ცვლილების საკითხი არჩევნებზე უნდა გადაწყდეს.

ნატო ქაბულისგან უსაფრთხოების შეთანხმების ხელმოწერას ელის

თამთა კახაძე

ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა ავღანეთის ხელისუფლება გააფრთხილა, რომ ქვეყნის შეირაღებული ძალების დაფინანსება შესაძლოა მანამდე შეწყდეს, სანამ უსაფრთხოების შესახებ შეთანხმებას ხელი არ მოეწერება. „ბი-ბი-სი“-სათვის მიცემულ ინტერვიუში რასმუსენმა განაცხადა, რომ თუ ეს შეთანხმება არ გაფორმდება, ნატომ ავღანეთში ყველა ტიპის საქმიანობა შესაძლოა 2014 წლის ბოლოსთვის შეწყვიტოს. რასმუსენის თქმით, თუ შესაფერისი სამართლებრივი საფუძველი არ იქნა, ნატოს ინსტრუქტორები ავღანელი სამხედროების მომზადებაში მონაწილეობას ვეღარ მიიღებენ. ცოტა ხნის წინ ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ ყარზაიმ განაცხადა, რომ ჯერ შეთანხმების ხელმოწერას არ აპირებს და ამერიკას ამისათვის პირობებიც წაუყენა. ყარზაის თქმით, სტრატეგიულ ხელშეკრულებას ხელი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ უნდა მოეწეროს, რომელიც 2014 წლის 5 აპრილს არის დანიშნული. ამ შეთანხმებით განისაზღვრება 2014 წლის შემდეგ ავღანეთში ამერიკელი სამხედროების დარჩენის პირობები.

ამ დროისათვის ავღანეთში 46 000 ამერიკელი სამხედრო იმყოფება. ავღანეთსა და ამერიკას შორის სტრატეგიული ხელშეკრულების მალე გაფორმების აუცილებლობის შესახებ ცოტა ხნის წინ ამერიკის არმიის გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელმა გენერალმა მარტინ დემპსიმაც განაცხადა. მისი თქმით, შეთანხმების გადადება ავღანეთის ძალების ნდობაზე უარყოფითად იმოქმედებს და ნატოს გეგმების განხორციელებასაც შეუქმნის საფრთხეს.

ბრიტანეთს ევროკავშირის შიდა მიგრაციის წესების შეცვლა სურს

თამთა კახაძე

ბრიტანეთს, ევროკავშირის ფარგლებში სამუშაო ძალის თავისუფლად გადაადგილების შესახებ პრინციპის შეცვლა სურს. ამის შესახებ ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრმა ტერეზა მეიმ ხუთშაბათს ბრიუსელში გააკეთა განცხადება. 2014 წლის 1 იანვრიდან ევროკავშირმა ახალი წევრების - ბულგარეთისა და რუმინეთის მოქალაქეების გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვები უნდა გააუქმოს. ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობა სამუშაო ძალის თავისუფლად გადაადგილებას ევროპის ინტეგრაციის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპად მიიჩნევს.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების შინაგან საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე ტერეზა მეიმ განაცხადა, რომ ამ პრინციპიდან მომდინარე პრობლემები ყურადღებით უნდა იქნეს განხილული და რომ თავად საიმიგრაციო კანონმდებლობაა შესაცვლელი. ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა ჩასული პირებისთვის სოციალური დახმარებების გაცემა მათი უმუშევრად დარჩენის შემთხვევაში. ბრიტანეთი ჩასულებისთვის უმუშევრობის დახმარების გაცემის წესებს თავის მხრივ უკვე ამკაცრებს.

მსგავსი პრობლემების წინაშე ევროპის სხვა სახელმწიფოებიც დგანან და ამ მხრივ ბრიტანეთის პოზიცია ალბათ გარკვეულ მხარდაჭერას მიიღებს. თუმცა სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილების პრინციპის გადახედვაზე ევროკავშირის პოლიტიკური ხელისუფლება ვერ წავა. ცენტრალური ევროპის სახელმწიფოები ვერ დათანხმდებიან იმაზე, რომ გაერთიანებაში შემავალი რომელიმე ქვეყნის მოქალაქეები მეორე ხარისხის ადამიანებად აღიქვან. რეალურად კი ყველამ იცის, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში სამუშაო ადგილებიც ნაკლებია და ანაზღაურებაც, შესაბამისად მოსალოდნელია მუშახელის შედარებით მასობრივი გადაადგილება დასავლეთ ევროპის უფრო განვითარებული ქვეყნებისკენ.

გოგონა სახელად კერტუ

პირველი გვერდიდან

სწორედ მსგავსი ფაქტი მოხდა ანდრეა პალაოროს „მედეას“ ჩვენებისას, როდესაც ჟიურის თავმჯდომარე მაიკლ ჰოფმანმა ხმამაღლა მოითხოვა კარის დახურვა, მაგრამ ამაოდ - კარი პრაქტიკულად მთელი სეანსის განმავლობაში არ გაჩერებულა, არ ჩერდებოდნენ დაგვიანებით შემოსული მაყურებლებიც, არადა ამ დროს ეკრანზე ყველა და ყველაფერი დუმდა - „მედეა“ ფესტივალის ყველაზე ჩუმი, ყველაზე უხმო, ყველაზე საყურებელი ფილმი აღმოჩნდა.

პალაოროს ნამუშევარი სწორედ იმ ფილმების კატეგორიას განეკუთვნება, რომლის შეფასებისასაც აზრი მკვეთრად გაიყოფა ორად. სტატიკური, ზოგჯერ ზედმეტად ცარიელი კადრები მაქსიმალურად ცდილობს ფილმის ხასიათის შექმნას, ცდილობს ბოლომდე შეგვიყვანოს მისი სმენადაქვეითებული გმირის სამყაროში, რომელიც, ერთი შეხედვით, ბედნიერი ჩანს - ჰყავს ქმარი, ფეხმძიმედაა, ლამაზი და ჯანმრთელი შვილები ჰყავს, მაგრამ სამყაროსგან ისევე დაშორებულ ადგილას ცხოვრობს, როგორც მისი მშობლიური იტალიაა ამერიკისგან შორს.

ფილმს „მედეა“ ჰქვია, ამრიგად ფილმის დაწყებისთანავე განწყობილი ხარ, რომ ბოლოს სასტიკი ტრაგედიის მომსწრე უნდა გახდე. ამ ტრაგედიამდე კი რეჟისორს ძალიან დიდხანს, ზოგჯერ მომაბეზრებლად დიდხანსაც მიჰყავხარ. დიალოგების გარეშე, მხოლოდ სანახაობით სათქმელის გადმოცემას ალბათ დიდი ოსტატობა და გამოცდილება სჭირდება, რისი მცდელობაც ანდრეა პალაოროს ნამდვილად აქვს, მაგრამ საათნახევრიანი სტატიკა, რომელიც რამდენიმე წამიერი აფეთქებით იკრებს ახალ ენერგიას, ძალიან დამღლელი და შემაწუხებელია. თანაც კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს, რომ ფილმის სათაური ფინალისთვის იმთავითვე განგაწყობს, ამიტომ მომხდარ ტრაგედიას უემოციოდ იღებ.

სექცია „სიყვარული ადამიანის ძირითადი უფლებაას“ ერთ-ერთი ფილმი, „სიყვარული ბრმაა“ კი ძალიან კარგი აღმოჩნდა. ამის მოლოდინი იმთავითვე იყო, რადგან მისი ავტორი 2007 წლის „კლასის“ ავტორია (ძალიან კარგი ფილმი მოზარდების ძალადობაზე). ფილმი თავად რეჟისორმა წარმოგვიდგინა, რის დროსაც აღნიშნა, რომ ეს მისთვის მეტად პირადი ფილმია. „დეიდაჩემს კარგად შეეძლო ისტორიების მოყოლა და როდესაც მივხვდი, რომ ძალიან მოხუცდა, გადავწყვიტე მის მიერ ისტორიების მოყოლის პროცესი კამერით გადამეღო. ერთ-ერთ ამბად საკუთარ შვილზე მიამბო, სოფლის ყველაზე სიმპატიურ მამაკაცზე, რომელზეც ყველა ქალი გიჟდებოდა, მაგრამ გამოუსწორებელი ლოთი იყო. ერთხელ ჩემს დეიდაშვილს მეზობლის გოგონასგან საფოსტო გზავნილი მიუღია. გოგონას სოფელი ცოტა გონებასუსტად, ფსიქიკური პრობლემის მქონე ადამიანად მიიჩნევდა, რადგან ის არავის ესალმებოდა და უცხო ხალხის დანახვაზე თავსაც იბრუნებდა. როდესაც ფისქოლოგებს ვკითხე, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამ გოგონას პრობლემა, ამიხსნეს, რომ შესაძლოა, სინამდვილეში, პრობლემა მის თანასოფლელებს, იმ ადამიანებს ჰქონდათ, რომლებიც მას გიჟად მიიჩნევდნენ“, - ამბობს რეჟისორი.

„სიყვარული ბრმაას“ ორიგინალში „კერტუ“ ჰქვია - სწორედ იმ გოგონას სახელი და რეჟისორიც ფილმზე საუბრისას მხოლოდ ამ სახელწოდებას იყენებს. ამბობს, რომ ალტერნატიული სახელწოდება მხოლოდ კომერციული თვალსაზრისით მიანიჭეს და რომ ის თავად არ მოსწონს. სწორიცაა, რადგან კერტუს სიყვარული არაფრით შეიძლება იყოს ბრმა, რადგან სწორედ ეს, ვიღაცისთვის არათანაბარი და უაზრო სიყვარული უხელს მას თვალს, უჩენს სიცოცხლის სურვილს, სიცოცხლეში აბრუნებს. დეიდის მიერ მოყოლილ ამბავს ილმარ რააგი სხვა ისტორიასაც ამატებს და ძალიან კარგ ფილმს კრავს, რომელშიც არაფერია ზედმეტი და არც არაფერი გაკლდება. მაყურებელი აქ ერთნაირი დოზით იღებს სიყვარულსაც, სიძულვილსაც, რისხვასაც, ზიზღსაც და ზღაპარსაც, რომელსაც რეჟისორი მთელი გულით ჩუქნის გოგონა კერტუს.

გუშინ ულრიხ ზაიდლის ტრილოგიის უკანასკნელი ფილმი, „სამოთხე: იმედიც“ აჩვენეს. ამჯერად ფილმის ცენტრი „სიყვარულის“ მთავარი გმირის, ტერეზას ქალიშვილი მელანია (აქვე აღვნიშნავთ, რომ ფესტივალს ზაიდლთან ერთად ტერეზას როლი შემსრულებელი მარგარეტე ტისელიც სტუმრობდა. ძალიან სასიამოვნო ქალბატონი). მელანი ჭარბწონიანი მოზარდია და ვიდრე დედამისი კენიის პლაჟებზე „ტკბილი დედიკოს“ როლს ირგებს, გოგონა ჭარბწონიანთა სპეციალურ ინტერნატში ცხოვრობს. მელანი საკუთარი წონის კონტროლს სწავლობს, თინეიჯერულ გრძობებს კი ბოლომდე ათავისუფლებს და სკოლის შუა ხნის ასაკის ექიმის მოხიბვლით დიდობაში გადასასვლელ ეტაპს გადის. ვისაც „სამოთხის“ ტრილოგია სრულად აქვს ნანახი, ალბათ დაგვეთანხმება, რომ „იმედი“ ტრილოგიის სუსტი ნაწილი, თუმცა სამივე ფილმის შესაკრავად უცილებელი სეგმენტია.

სექციაში „დამზადებულია გერმანიაში“ იან ოლე გერსტერის ძალიან კარგი Oh Boy ვნახეთ - შავ-თეთრი ფილმი შეუმდგარ ახალგაზრდა მამაკაცზე, რომელიც საკუთარ თავში აერთიანებს თანამედროვე ახალგაზრდობის პრაქტიკულად ყველა, პირველ რიგში, კი საკუთარი თავის ძიებაში დაკარგვის პრობლემას, რომლის გადაჭრისთვისაც ზოგჯერ არაფერს ვაკეთებთ, ხსნა კი აქვე ახლოს, ჩვენს გვერდითაა. და სწორედ მაშინ, როდესაც თუნდაც ერთ ნაბიჯს გადავდგამთ, პრიზის სახით მაშინვე მივიღებთ ასე ნანატრ ცხელ, ჩვეულებრივ ყავას.

6 დეკემბრის ჩვენებებს სხვა ფილმებთან ერთად გააგრძელებს აგნეშკა ჰოლანდის „შეუწველი მაყვალი“, იგნას იონინასის საკონკურსო „მოთამაშე“, გეორგ მაასის „ორი ცხოვრება“, მარია სადოვსკას „ქალთა დღე“, პეტრი კოტვიცას „ვირთხების მეფე“ და უილიამ ოლდროიდის ფილმი „ცოდვაში“.

ფრანგული ბალეტი ევროპის სახლში

სოფიო ნემსაძე

ხვალ, 7 დეკემბერს, შაბათს, 5 საათზე, ევროპის სახლში დასრულდება ფილოსოფოსის, ჟურნალისტისა და თანამედროვე ცეკვის მკვლევარის, ხათუნა მზარელუას ლექციების ციკლი თანამედროვე ბალეტის შესახებ. პროექტი, რომელიც ფრანგული კულტურის ინსტიტუტის მხარდაჭერით იმართება დასრულდება ბენჟამენ მილპიესეული დადგმით. პეტრე ცაიკოვსკის მისეული „მაკნატუნა“ ერთ-ერთი ახალი და თანამედროვე საბალეტო წარმოდგენაა, რომელიც ჟენევის დიდი თეატრის საბალეტო დასისთვის განხორციელდა.

თანამედროვე საბალეტო თეატრზე ლექციათა ციკლის პირველი ლექცია-ვიდეოჩვენება გაიმართა 2011 წლის 26 ოქტომბერს და განხილულ-ნაჩვენები იქნა ფრანგი ქორეოგრაფის, ანჟელენ პრელჟოკაჟის ბალეტი „მედეას სიზმარი“.

7 დეკემბრის საღამოსთვის „მაკნატუნა“ შეირჩა წინასაახალწლო განწყობის სესაქმნელად. მოვუსმინოთ დიდი რუსი კომპოზიტორის, პეტრე ჩაიკოვსკის ჯადოსნურ მუსიკას, დავტკბეთ ფრანგი მოცეკვავისა და ქორეოგრაფის, ბენჟამენ მილპიეს ელეგანტური და მსუბუქი საცეკვაო ხელწერით; განვცვიფრდეთ ფრანგი ხელოვანის, პოლ კოქსის სადა დეკორაციის სიღრმით, მოვიხიბლოთ მოცეკვავეთა მაღალი საშემსრულებლო ტექნიკით.“ - აღნიშნავს პროექტის ავტორი.

ვიდეოჩვენების მაყურებელი ნახავს „მაკნატუნას“ სრულ ვიდეოჩანაწერს პირდაპირ ჟენევის დიდი თეატრიდან.

პროექტი ხორციელდება ფრანგული ინსტიტუტის მხარდაჭერით,. კონკრეტულად 7 დეკემბრის ჩვენების განხორციელებას ხელი შეუწყო ჟენევის დიდი თეატრის საბალეტო დასის დირექტორმა, ფილიპ კოენმა. პროექტს მან ექსკლუზიური ვიდეო და ფოტომასალა უსასყიდლოდ გადასცა.

პეტრე ჩაიკოვსკის ბალეტი „მაკნატუნა“ თანამედროვ თანამედროვე საბალეტო ხელოვნებისთვისაც აქტუალური მუსიკაა, რაც კომპოზიტორის გენიალურობასკიდევ ერთხელ ადასტურებს. არსებობს თანამედროვე ქორეოგრაფების სხვადასხვა მანერასა და ინტერპრეტაციაში განხრციელებული წარმოდგენა. მაგრამ თითქმის უკლებლივ ყველას ყავდა და ყავს დაინტერესებული მაყურებელი. სიუჟეტისა დამშვენიერი მუსიკის გარდა, ამ ბალეტის სიცოცხლისუნარიანობა ალბათ სწორედ მის მაყურებელშია. მოზარდები - ნებისმიერი ეპოქის ბავშვებს აქვთ, სჯერათ და ალბათ სჭირდებათ თავისებური ზღაპარი. ჟორჟ ბალანჩინის სიტყვებით, „მაკნატუნა“ არის ბალეტი ბავშვების, დიდებისა და დიდი ბავშვებისთვის.

დავით სუჯაშვილი - მავთულხლართების გაბმა გრძელდება

შს სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენლებმა დიპლომატიურ მისიებს საოკუპაციო ზოლში არსებული ვითარება გააცნეს. სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე დეპარტამენტის წარმომადგენლებმა საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიური კორპუსისა და საერთასშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან სწორედ ოკუპაციის ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებული ვითარებისა და მდგომარეობის შესახებ იმსჯელეს.

შეხვედრაზე შს სამინისტროს მხრიდან წარმოდგენილი იყო პრეზენტაცია ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებსა და ზოგადად საოკუპაციო ძალების მიერ მავთულხმართების, ღობეების, მიწათხრილების და ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების მონტაჟის შედეგად შექმნილ მდგომარეობაზე.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა დავით სუჯაშვილმა განაცახადა, სამწუხაროდ მავთულხლართების გაბმა გრძელდება და არ შეჩერებულა.

„ღოღეთში დაიწყო ბოძების ჩასმა და შემდეგ მავთულხლართების გაბმა. ეს პროცესი არ შეჩერებულა, გაგრძელდება და ამის შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა თვითონ რუსულმა მხარემ“, - აღნიშნა სუჯაშვილმა.

რაც შეეხება იმას, რამდენად მოსალოდნელია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებამდე რუსული მხრიდან პროვოკაციები, სუჯაშვილმა მოსალოდნელი პროვოკაციები არ გამორიცხა.

„ნუ დაგვავიწყდება, რომ საქართველოს ტერიტორიები არის ოკუპირებული. რუსული ჯარი დგას ჩვენს ტერიტორიაზე, ამიტომ პროვოკაციებს არ გამოვრიცხავ. ჩვენი მთავარი მიზანია ამისთვის მზად ვიყოთ“, - აღნიშნა დავით სუჯაშვილმა. მსგავსი ტიპის შეხვდერები შს სამინსიტროში პერიოდულად იმართება და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მიმართულებით განვითარებული მოვლენების შესახებ დეტალურ ინფორმაციას ისახავს მიზნად.

რეკლამა

ხუდონჰესის მოწინააღმდეგეების ვარაუდებზე აგებული „არგუმენტები„

ხვალ, „ფრიდრიხ ებერტის ფონდისა“ და არასამთავრობო ორგანიზაციების საინიციატივო ჯგუფის ორგანიზებით გაიმართება კონფერენცია თემაზე: „ხუდონჰესის გამოწვევები.“

როგორც მედიაანონსში ვკითხულობთ, კონფერენციის მიზანია, შედგეს ღია დიალოგი საექსპერტო, სახელისუფლებო და საზოგადოებრივი წრეების წარმომადგენლებს შორის ხუდონჰესის პრობლემატიკის ირგვლივ.

კონფერენციის ორგანიზატორები არიან: საქართველოს მწვანეთა მოძრაობა დედამიწის მეგობრები-საქართველო, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, მწვანე ალტერნატივა, საქართველოს ენერგეტიკოსთა კავშირი, სვანეთის ტურიზმის ცენტრი და სვანეთის ახალგაზრდული ცენტრი.

კონფერენციაზე მოწვეულები არიან სახელისუფლებო სტრუქტურების, არასამთავრობო ორგანიზაციების, დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მედიაანონსამდე, რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციამ „ფრიდრიხ ებერტის ფონდიდან“ მოსაწვევი მიიღო, რომელშიც მეტად საინტერესო ფაქტობრივი მონაცემები იყო.

მაგალითად:

1.ნახსენებია, რომ დაიტბორება 1100 ჰა ტყე;

2. დასატბორი ტერიტორიაა 400 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწა;

3. გადასახლებული იქნება 2000 კაცი;

4. საქმე ეხება 25 სოფელს.

ფრიდრიხ ებერტის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორი ია თიკანაძე ერთ-ერთ მედიასაშუალებასთან აცხადებს, რომ ეს მონაცემები მათ პარტნიორებმა მიაწოდეს.

ხვალ დაგეგმილი ღონისძიების ერთ-ერთ ორგანიზატორი ნინო ჩხობაძე ერთ-ერთ მედიასაშუალებასთან საუბრისას აცხადებს:

„ჩვენ ძირითადად რიცხვებზე არ ვსაუბრობთ, იმიტომ რომ სხვადასხვა მონაცემებია ყოველთვის, მაგრამ ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რაც უწერია თვითონ კომპანიას გარემოზე ზემოქმედების შედეგების ანგარიშში. იქ წერია, რომ 1100 ჰექტარზე ვრცელდება. დაახლოებით 700 კაცი უნდა გადასახლდეს, 170 კომლზეა საუბარი და 27 ტოპონიმი უნდა გაქრეს. რაც ვიცი, საბოლოო ჯამში 2000 კაცის განსახლება მოხდება.

კითხვაზე: ქალბატონო ნინო, გზშ-ში საუბარია 184 კომლზე, ანუ 700 ადამიანზე და თქვენ თითქმის სამჯერ მეტ მონაცემს ასახელებთ, „მწვანეთა მოძრაობის“ ხელმძღვანელი აცხადებს:

„ეს 700 კაცი ისაა, რაც რეალურად ექვემდებარება გადასახლებას. იქედან 1050 თუ 1070 კომლია დარჩენილი, რაც არის, თვითონ ხაიშში არის უფრო ნაკლები, რომელიც ჩვენი ინფორმაციით წერია გარემოზე ზემოქმედების ანგარიშში. ეს მონაცემები იქედან გვაქვს აღებული, ჩვენ არაფერს ვიგონებთ. უბრალოდ, ექსპერტების ვარაუდია, რომ მათთვის, ვინც შეიძლება იმ ხეობაში დარჩეს, მდგომარეობა გაუსაძლისი გახდება.

ჩვენ არ ვაკეთებთ განცხადებებს, ჩვენ ვსაუბრობთ ვარაუდებზე და ამას წერილობით არსად ვაფიქსირებთ.“

ინვესტორის, კომპანია „ტრანს ელექტრიკას“ პიარ მენეჯერი ნინო ასათიანი აცხადებს, რომ ნინო ჩხობაძის მიერ მოყვანილი ვარაუდები სრული სიცრუეა. მისივე თქმით, ისეთი სერიოზული ორგანიზაცია, როგორიც «ფრიდრიხ ებერტის ფონდია“ მსგავსი დეზინფორმაციის გავრცელებაში მონაწილეობას არ უნდა იღებდეს.

ნინო ასათიანი: „მე მგონი ნინო ჩხობაძეს გზშ-ს ახალი ვარიანტი არც წაუკითხავს, სადაც 376-ე გვერდზე თეთრით შავზე წერია, რომ 325 ჰა ტყე ექცევა ზემოქმედების არეალში. ან 2000 ადამიანი სად არის? განსახლების პირველი ფაზის მიხედვით, განსახლების არეალში ექცევა 769 ადამიანი, ეს არის 184 ოჯახი პირდაპირ და არა პირდაპირ. საიდან მოიტანეს ეს 2000 კაცი? ტყუილია აბსოლუტურად! ისევე როგორც ტყუილია ინფორმაცია 25 სოფელზე. დატბორვის ზონაში ხვდება 3 სოფელი და ზემოქმედების ქვეშ-2. და ეს ყველაფერი დეტალურადაა გაწერილი გზშ-ში, რომელიც ჩვენს ვებგვერდზე დევს.

როგორ შეიძლება ამხელა პროექტზე ვარაუდებით ისაუბრო, როცა არსებობს მათემატიკური დაანგარიშებები. ეს არის შეგნებული დეზინფორმაცია. რაღაცაზე რომ მსჯელობ, მინიმუ, წაკითხული მაინც უნდა გქონდეს“

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130026747

შემსყიდველი	ქობულეთის მუნიციპალიტეტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	05.12.2013 14:17
წინადადებების მიღება იწყება	09.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	11.12.2013 12:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	2650 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	34900000-სხვადასხვა სატრანსპორტო მოწყობილობა და სათადარიგო ნაწილები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	34928110-გზის პარაპეტები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ ტექნიკური პირობა
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	25 ლარი
გარანტიის ოდენობა	27 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130026559

შემსყიდველი	ახმეტის მუნიციპალიტეტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	04.12.2013 11:39
წინადადებების მიღება იწყება	06.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	10.12.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	4100 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	09100000-საწვავი
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	09100000-საწვავი , 09111400-მერქნოვანი საწვავი
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 31 დეკემბრამდე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	40 ლარი
გარანტიის ოდენობა	41 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130026604

შემსყიდველი	ქობულეთის მუნიციპალიტეტი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	04.12.2013 15:36
წინადადებების მიღება იწყება	06.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	10.12.2013 12:00
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	24500 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	18100000-სამუშაო ტანსაცმელი, სპეცტანსაცმელი და აქსესუარები
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	18100000-სამუშაო ტანსაცმელი, სპეცტანსაცმელი და აქსესუარები
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	იხილეთ ტექნიკური პირობები და ფასების ცხრილი
მოწოდების ვადა	ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღე
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	150 ლარი
გარანტიის ოდენობა	245 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130026544

შემსყიდველი	გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების 15 საბავშვო ბაგა-ბაღი
ტენდერის გამოცხადების თარიღი	03.12.2013 22:53
წინადადებების მიღება იწყება	09.12.2013 00:00
წინადადებების მიღება მთავრდება	11.12.2013 13:30
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	9670 ლარი
სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს	დღგ-ს გათვალისწინებით
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი	15800000-სხვადასხვა საკვები პროდუქტი
კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი	15800000-სხვადასხვა საკვები პროდუქტი
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა	მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში
მოწოდების ვადა	2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (პური ყოველდღიურად)
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი	40 ლარი
გარანტიის ოდენობა	97 ლარი

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

ისტორიული გამარჯვების ექო

საქართველოს მორაგბეთა ნაკრების მიერ სამოაზე გამარჯვების მნიშვნელობაზე აღარ ვისაუბრებდით, რომ არა ინგლისურენოვანი გამოცემის „ჯორჯია თუდეის“ სპორტული ჟურნალისტის, ალისტერ უეითის ვრცელი სტატია, რომელსაც ცოტა დაგვიანებით გთავაზობთ, მაგრამ რაგბის ქართველი გულშემატკივრისთვის უინტერესო მაინც არ იქნება - უცხო თვალით დანახული მატჩი და შეფასებები ალბათ უფრო საინტერესოა.

ეს სპორტის ისტორიაში ყველაზე გრძელი ბოლო წუთები იყო, როდესაც საქართველომ გაუძლო შეტევებს, რათა 23 ნოემბერს, მესხის სტადიონზე, სამოასთან მიეღწია დაუჯერებელი გამარჯვებისათვის ანგარიშით 16:15.

მატჩის მეორე ნახევარში მერაბ შარიქაძის ლელომ და მერაბ კვირიკაშვილის 11-მა ქულამ საქართველოს ნაკრებს მოუტანა დამოუკიდებელი რაგბის კავშირის 24-წლიან ისტორიაში ყველაზე შთამბეჭდავი გამარჯვება.

სამოელები, რომლებიც მატჩის დაწყებამდე მსოფლიო რეიტინგში მერვე ადგილს იკავებდნენ, ძნელად თუ წარმოიდგენდნენ ასეთ ფინალს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მატჩის პირველ ნახევარში კარგად გამოიყინეს მასპინძლების დაცვაში არცთუ დამაჯერებელი თამაში და ორი ლელო დაამიწეს.

საქართველოს დედაქალაქში საღამოვდებოდა და დაახლოებით 15 ათასმა ქომაგმა მიაშურა «ლოკომოტივის“ სტადიონის ღია ტრიბუნებს, სადაც შეძახილებით დახვდნენ სამოელთა წინასამატჩო რიტუალს - ტრადიციულ საბრძოლო ცეკვა სივა ტაუს. ცეკვამ, ცოტა არ იყოს, აახმაურა ქომაგი და ყველაზე დაძაბული და დრამატული მატჩისთვის სათანადო ატმოსფერო შექმნა.

ირლანდიასთან დამარცხების მიუხედავად, სამოას, თავისი ბოლოდროინდელი გამარჯვებებით იტალიის, შოტლანდიის, უელსისა და ორი წლის წინ ავსტრალიის ძლიერ გუნდებზე, მსოფლიო რაგბიში დიდი ავტორიტეტი აქვს.

ამავე დროს საქართველო ჯერ კიდევ გონს მოდიოდა წინა კვირას რუსთავში აშშ-ის ნაკრებთან ბოლო წუთზე წაგებული მატჩის შემდეგ. უკან გადადგმული ნაბიჯის გამოსწორების დიდი სურვილით, მასპინძლებმა მინდორზე «პირველი სისხლი დაღვარეს“ მატჩის დებიუტში მერაბ კვირიკაშვილის მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმით, რომლითაც საქართველო 3:0 დაწინაურდა.

საქართველოს მხოლოდ რამდენიმე წუთით მიჰყავდა ანგარიში. მასპინძელთა დაცვის არადამაჯერებელი თამაშის ფონზე ჯეკ ლემმა თავი დაიძვრინა რამდენიმე ბოჭვისგან და ბურთი ალაფატი ლეიუას გადააწოდა, რათა მას მატჩის პირველი ლელო დაემიწებინა.

ღერძის მოთამაშე ტუსი პისიმ ლელოს გარდასახვა ვერ მოახერხა. მალე საქართველოს ნაკრები ანგარიშში წინ გავიდა, მიუხედავად იმისა, რომ მამუკა გორგოძეს 10 წუთით მოედანი დაატოვებინეს სახიფათო ბოჭვის გამო. კაპიტნის არყოფნაში, კაცნაკლულმა საქართველოს ნაკრებმა მიიღო ჯარიმის დარტყმის უფლება, რაც ბრწყინვალედ შეასრულა კვირიკაშვილმა.

შეხვედრის 26-ე წუთზე სტუმართა გუნდმა კვლავ ისარგებლა მასპინძელთა წარუმატებელი ბოჭვით და შეხვედრაში თავისი მეორე ბურთი დაამიწა მეტოქის ჩათვლის მოედანში - მესამეხაზელმა ლემმა ხაზი გაჭრა, რათა სამოას ანგარიში 10:6 გამხდარიყო. მალე ანგარიში 12-მდე გაიზარდა, მას შემდეგ, რაც ტუსი პისიმ ლელოს გარდასახვა მოახერხა.

პირველი ნახევრის დასრულებამდე ანგარიში არ შეცვლილა, მიუხედავად იმისა, რომ კვირიკაშვილს სხვაობის განახევრება შეეძლო. მან შორიდან დაარტყა საჯარიმო, მაგრამ ბურთს რამდენიმე მეტრი დააკლდა სამოელთა ძელებამდე.

მატჩის პირველი ნახევრის შემდეგ რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ სამოელებმა სრულად გამოიყენეს მასპინძელთა სუსტი მხარეები, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ სტუმრები ბევრ ქულას ვერ მოიხვეჭდნენ მეორე ნახევარში.

მაგრამ საქართველოს ნაკრები თითქოს ხელახლა შეიკრა. გუნდი თავიდან დაიბადა. მასპინძელთა ახალზელანდიელ მთავარ მწვრთნელს, მილტონ ჰეიგს, რაც არ უნდა ეთქვა მოთამაშეებისთვის შესვენებისას, ამან თავისი ნაყოფი გამოიღო - თუ პირველ ნახევარში საქართველოს ნაკრები მოედანზე მორჩილი სპანიელივით გამოიყურებოდა, მატჩის მეორე ნახევარში გუნდი ნამდვილი კავკასიური ნაგაზივით ათამაშდა.

8 ნომრით მოთამაშე გიორგი ჩხაიძემ გადაუარა სამოელთა ხაზს, ხოლო გიორგი ბეგაძისა და ლაშა ხმალაძის ზუსტი გადაცემებით მერაბ შარიქაძემ, საუცხოო ტექნიკისა და ჟინის დემონსტრირებით, ლელო დაამიწა სამოელთა ჩათვლის მოედანზე.

კვირიკაშვილმა ლელო გარდასახა და მასპინძლები ისევ დაწინაურდნენ - 13:12. ტრიბუნები მთელი ძალით ქომაგობდნენ თავიანთ გმირებს, ხმამაღლა ამხნევებდნენ მათ და თითქოს წინ მიუძღოდნენ წარმოუდგენელი წარმატებისკენ.

მასპინძელთა იმედი თითქოს გაცამტვერდა მას შემდეგ, რაც პისის მიერ შესრულებულმა საჯარიმომ წინ გაიყვანა სამოა, როდესაც მატჩის დასრულებამდე თხუთმეტი წუთი რჩებოდა.

მაგრამ შეძახილი «სა-ქარ-თველო“ ისმოდა უკვე არა მხოლოდ სტადიონზე, არამედ მთელს ქვეყანაში. ბორჯღალოსნები ძალას არ იშურებდნენ, გამოეყენებინათ ეს ისტორიული შესაძლებლობა.

უშედეგო არეკნის შემდეგ კვირიკაშვილმა გაიტანა ჯარიმა, რომელიც სამოელთა მორკინალების უდისციპლინო თამაშით იყო გამოწვეული. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში სარეკორდო ოდენობის - 478 ქულის მომხვეჭელისთვის უკანასკნელი სამი ქულა ალბათ უმნიშვნელოვანესია მის კარიერაში.

გამარჯვება უკვე ჰორიზონტზე ჩანდა. გულშემატკივარიც ისე ქომაგობდა, როგორც არასდროს, მაგრამ საქმე დასამთავრებელი იყო.

მატჩისთვის განკუთვნილმა დრომ 80 წუთს მიაღწია და სამოელებმაც წნეხს მოუმატეს. ისინი ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ საქართველოს ნაკრების ჩათვლის მოედანს. ერთადერთი, რაც მასპინძლებს დარჩენოდათ, ის იყო, რომ ბუთს დაუფლებოდნენ და აუტში დაერტყათ, ან ელოცათ, სამოელებს რაიმე შეცდომა დაეშვათ.

80 წუთს უკვე 10 წუთით გადაცილებული იყო, როდესაც სამოელებს ქართველთა ჩათვლის მოედნამდე 15 მეტრში ბურთი დაუვარდათ და... ფრანგი არბიტრის საფინალო სასტვენმა ენით აუწერელ ზეიმს და გამარჯვების სიხარულს მისცა დასაბამი როგორც მინდორზე, ისე ტრიბუნებზე.

მატჩის შემდეგ აღფრთოვანებულმა კაპიტანმა, მამუკა გორგოძემ, მადლობა გადაუხადა გულშემატკივრებს დაუღალავი ქომაგობისთვის. მან თქვა: «ქომაგობა განსაკუთრებულად მოქმედებს მოთამაშეებზე. მინდა ყველა ქომაგს დიდი მადლობა გადავუხადო. ჩვენ ყველამ ერთად გავიმარჯვეთ.“

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა, გიორგი ნიჟარაძემ განაცხადა, რომ ამ მატჩს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმიტომაც, რომ გიორგობას გაიმართა: «რა თქმა უნდა, წმინდა გიორგის მადლი დაგვეხმარა ამ გამარჯვების მიღწევაში.“

მან ასევე დაამატა, რომ ეს იყო სასწაულის ტოლფასი გამარჯვება: «დღეს ჩვენმა გუნდმა სასწაული მოახდინა, ბიჭებმა არაჩვეულებრივად ითამაშეს. მე ნამდვილად არ მინახავს საქართველოს ნაკრების ასეთი თამაში.“

დამარცხებული სამოას ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, სთივენ ბითემმა განაცხადა: «საქართველოს ნაკრებმა დაამტკიცა, რომ ის იმსახურებს მსოფლიოს საუკეთესო გუნდებთან უფრო ხშირად თამაშს“.

და დაამატა: «ყოჩაღ, საქართველოს ნაკრებს! მეორე ეშელონის სხვა გუნდებთან ერთად, საქართველოს ნაკრებს უნდა ეძლეოდეს მსოფლიოს საუკეთესო გუნდებთან თამაშის შანსი.“

დუშან უჰრინმა მოიგო და წავიდა

გაიმართა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის XV ტურის დარჩენილი შეხვედრები, რომლის ცენტრალურ მატჩში სატურნირო ცხრილის ლიდერმა, თბილისის „დინამომ“, „დინამო არენაზე“ ლანჩხუთის „გურიას“ უმასპინძლა და 3:1 დაამარცხა.

მატჩის დასრულების შემდეგ ცნობილი გახდა, რომ თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის რანგში გუნდს უკანასკნელად გაუძღვა დუშან უჰრინი - ჩეხი სამშობლოში ბრუნდება, სადაც „პლზენს“ ჩაუდგება სათავეში.

დუშან უჰრინი თბილისის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად 2012 წლის ივნისში დაინიშნა. მისი ხელმძღვანელობით, საქართველოს ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა 2012-2013 წლების სეზონში საქართველოს ჩემპიონობა, საქართველოს თასი და სუპერთასი მოიგო.

რაც შეეხება უშუალოდ «დინამო» VS „გურიას», აქ ანგარიში გურულებმა გახსნეს - 28-ე წუთზე სტუმრები წინ ვილი ისიანმა გაიყვანა. დინამოელებმა მატჩის ბედის შემოტრიალება მეორე ტაიმში შეძლეს. 58-ზე ჯერ ჩისკომ გაათანაბრა, 79-ზე მასპინძლები წინ გიორგი მერებაშვილი გაიყვანა, საბოლოო ანგარიში კი ჯაბა დვალმა 89-ეზე დააფიქსირა.

უჰრინმა «დინამო» მოგებულმა დატოვა

შეხვედრის დასრულებისთანავე «დინამო არენას» სტადიონის მედია დარბაზში ტრადიციული მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია შედგა.

რომან პოკორა: ლანჩხუთის გურია მატჩამდე რთულ სიტუაციაში იმყოფებოდა. ჩემს გუნდს თამაშამდე სრულფასოვანი ვარჯიშები არ ჩაუტარებია. როგორც მწვრთნელი დაფიქსირებული შედეგით კმაყოფილი ვერ ვიქნები. რაც შეეხება დღევანდელ დაპირისპირებას, მეტოქემ კლასისა და გამოცდილების ხარჯზე გვაჯობა, თანაც დინამოს გაცილებით უკეთესი სათადარიგოთა სკამი აქვს და ეს მათ ასპარეზობაზე აისახება კიდეც.

დუშან უჰრინი: პირველი ტაიმის შემდეგ ჩვენ ვმარცხდებოდით. ფეხბურთელები გრძელი გადაცემების შესრულებისას მრავლად უშვებდნენ შეცდომებს. დღევანდელი შეხვედრის მეორე ტაიმი კარგად დავიწყეთ და მატჩი სასურველი შედეგით დავასრულეთ. სასიამოვნოა, რომ უახლოეს მდევარს ექვსი ქულით გავუსწარით.

მიხეილ სალაძე სპორტის რაინდის წოდებით დაჯილდოვდა

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონს (1981), მსოფლიოს თასის მფლობელს (1981), მსოფლიო უნივერსიადის სამგზის ჩემპიონს, სსრკ ოთხგზის ჩემპიონს (1976, 79, 81, 82), 1981 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მოჭიდავეს, არაერთი სართაშორისო ტურნირის გამარჯვებულს, სპორტის დამსახურებული ოსტატს, ღირსების ორდენის ორგზის და ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის კავალერს მიხეილ სალაძეს 60 წლის იუბილე მიულოცა.

5 დეკემბერს მინისტრმა მიხეილ სალაძეს სამინისტროში უმასპინძლა და ტიტულოვანი სპორტსმენი სპორტის რაინდის წოდებით დააჯილდოვა.

სამინისტროს გადაწყვეტილებით, 2013 წელს სპორტის რაინდის წოდება სხვადასხვა სახეობაში 16 ვეტერან სპორტსმენს მიენიჭა.

მიშელ პლატინის ფეხბურთში რაგბის საჭარიმო წესის შემოღება სურს

უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი კიდევ ერთი ნოვატორული იდეით გამოდის: ყვითელი ბარათი უნდა შეცვალოს მოთამაშის მოედნიდან დროებითმა გაძევებამ.

„მიმაჩნია, რომ ფეხბურთელი 10-15 წუთით მოედნიდან გაძევებით უნდა დაისაჯოს, ისე როგორც ეს რაგბიშია. ამ შემთხვევაში უპირატესობას მიიღებს ის გუნდი, რომლის წინააღმდეგაც ფეხბურთელი კონკრეტულ მატჩში დააშავებს.

ახლანდელი წესებით კი სარგებელი აქვს იმ გუნდს, რომელთანაც წესების დამრღვევს მომდევნო კალენდარული მატჩი უწევს. ფეხბურთელი, რომელიც იღებს წითელ ან ორ ყვითელ ბარათს, მოედანს ტოვებს შეცვლის უფლების გარეშე. მოთამაშე, რომელიც სხვადასხვა მატჩში რამდენიმე ყვითელ ბარათს იღებს, დისკვალიფიკაციით ისჯება. „საჯარიმო სკამის“ იდეა ჯერ უნდა განვიხილოთ და საქმეში გამოვცადოთ“, - მიშელ პლატინის იდეას გვამცნობს BBC.

რონალდუ მუნდიალის ფავორიტებს ასახელებს

„რეალისა“ და პორტუგალიის ნაკრების თავდამსხმელი კრიშტიანუ რონალდუ ასახელებს იმ ნაკრებებს, რომლებიც, მისი აზრით, 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ფავორიტები იქნებიან.

„ჩემპიონობის კანდიდატები - ესპანეთი, ბრაზილია, გერმანია. კარგი იქნება, თუ პორტუგალიის ნაკრები რომელიმე მათგანს ადრეულ ეტაპზე არ გადაეყრება, - რონალდუს სიტყვებს ახმოვანებს Record. - ჩვენ შეგვიძლია სიურპრიზი შემოგთავაზოთ, მაგრამ ეს ბევრ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული. მათ შორის იმაზე, თუ როგორ ფორმაში ვიქნებით. დღეს თუ მკითხავთ, მშვენიერ ფორმაში ვარ. ახლა აუცილებელია, რომ ეს მდგომარეობა სეზონის ბოლომდე შევინარჩუნო. ამ შემთხვევაში ჩვენთვის მსოფლიო ჩემპიონატი წარმატებული იქნება“.

ბატისტუტა „ფიორენტინაში“ დაბრუნებაზე ფიქრობს

„ფიორენტინას“ ყოფილ კაპიტანს, არგენტინელ გაბრიელ ბატისტუტას ფლორენციულ კლუბში ნებისმიერი სტატუსით დაბრუნება სურს.

„ძალიან კარგი იქნებოდა „ფიორენტინაში“ დაბრუნება. რა თანამდებობაზე? ჩემი თავი მწვრთნელად ჯერ ვერ წარმომიდგენია. თანაც, გუნდს ჰყავს ვინჩენცო მონტელა, რომელიც არაჩვეულებრივად ართმევს თავს საქმეს. ვფიქრობ, მისი ძალისხმევა მალე შედეგს გამოიღებს. მიმაჩნია, რომ კლუბს გარკვეულ სარგებელს მოვუტანდი, თუნდაც მის იმიჯს ვარგებდი, რადგან ფლორენციაში დღემდე მცნობენ.

მზად ვარ, „ფიორენტინაში“ დავბრუნდე და ნებისმიერი როლი შევითავსო“, - ბატისტუტას სურვილს გვამცნობს Forza Italian Football.

ბატისტუტა, რომელიც ფლორენციელთათვის ლეგენდაა და, სიყვარულის ნიშნად, გულშემატკივრებმა ძეგლიც კი დაუდგეს, 1991-2000 წლებში „იების“ ღირსებას იცავდა.

ზეედორფისთვის ბრაზილია მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტია

ბრაზილიური „ბოტაფოგოს“ ჰოლანდიელი ნახევარმცველი კლარენს ზეედორფი, რომელსაც მწვრთნელობა განუზრახავს და, შესაძლოა, „მილანის“ სამწვრთნელო შტაბსაც ჩაუდგეს სათავეში, ბრაზილიის მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტად მასპინძლებს ასახელებს.

„ბრაზილიის ნაკრების რეალური ძალა კონფედერაციათა თასზე ყველამ კარგად დავინახეთ. უძლიერეს შემადგენლობას დაუმატეთ ის არნახული მხარდაჭერა, რომელიც ჩემპიონატის მასპინძლებს ტორსიდისგან ექნებათ და მიხვდებით, რომ მსოფლიო ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტი სწორედ ეს გუნდია“.

სამხრეთამერიკულმა სპორტულმა გამოცემებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ 37 წლის ზეედორფი, სავარაუდოდ, „ფლამენგოში“ გააგრძელებს კარიერას.

ზაზა ფაჩულია და „მილუოკი“ ბოლო ადგილს შეეჩვივნენ

ზაზა ფაჩულიას „მილუოკის“ წაგებებს ბოლო არ უჩანს - 15 წაგებით ცენტრალურ დივიზიონსა და ასევე მთელ აღმოსავლეთ კონფერენციაში ბოლო ადგილზეა.

გუშინ, გამთენიისას, მილუოკელებმა საკუთარ მოედანზე „დეტროიტ პისტონზთან“ 98:105 წააგეს.

მილუოკელთა მწვრთნელმა ლარი დრიუმ საქართველოს ნაკრების კაპიტანი სათადარიგოთა შორის გაამწესა, სათამაშოდ კი 06:12 წუთი მისცა. ქართველმა ცენტრმა 2 საჯარიმო ჩააგდო, 2 ორქულიანი ააცილა და ორ ქულას 2 მოხსნა წაამატა. ბურთი ერთხელ დაკარგა და ერთი პერსონალური მიიღო.

ზაზა ფაჩულიას მცირე სათამაშო დროის მიზეზი მოგვიანებით გაირკვა - მარჯვენა ფეხის ტრავმა მიიღოვო.

მილუოკელთა თავკაცმა მატჩის შემდეგ თქვა, რომ ქართველი ცენტრი მატჩამდეც არ გრძნობდა თავს კარგადო.

22 ქულით და 10 მოხსნით მასპინძელთაგან საუკეთესო იყო თურქი ერსან ილიასოვა, დეტროიტელთაგან კი ორმაგი დუბლი ორმა კალათბურთელმა შეასრულა: ანდრე დრამონდმა (24 ქულა, 19 მოხსნა) და გრეგ მონრომ (18 ქულა, 17 მოხსნა).

„ბაქსს“ მორიგი მატჩი „ვაშინგტონ უიზარდსთან“ სტუმრად უწევს.

მილუოკი - დეტროიტი 98:105 (19:26, 31:19, 17:35, 31:25)

მილუოკი: მიდლტონი (14 ქ.), ნაიტი (12 ქ.), ჰენსონი (12 ქ. 9 მ.), მაიო (7 ქ.), იუდო (3 ქ. 6 დ.); ილიასოვა (22 ქ. 10 მ.), რიდნური (10 ქ. 8 პ.), ნილი (8 ქ.), ადეტოკუმბო (6 ქ.), ფაჩულია (2 ქ.), რადულიცა (2 ქ.).

დეტროიტი: დრამონდი (24 ქ. 19 მ.), მონრო (18 ქ. 17 მ.), ჯენინგსი (17 ქ. 11 პ.), სმიტი (17 ქ.), კოლდუელ-პოუპი (8 ქ.); სინგლერი (15 ქ.), სტაკი (4 ქ.), იერებკო (2 ქ.), სივა, ჰარელსონი.

სანიკიძე-შერმადინის ტანდემმა „სარაგოსას„ მოაგებინა

პირველი გვერდიდან

სანიკიძე ერთადერთი იყო, რომელმაც ორივე გუნდის რიგებში ორმაგი დუბლი შეასრულა. ვიკამ მოედანზე ყველაზე მეტი დრო - 30:12 წუთი გაატარა, რაც საკმარისი აღმოჩნდა 10 ქულის ასაღებად, 12 მოხსნის გასაფორმებლად და ერთი დაფარებისთვის. მთლიანობაში კი ბურთი 5-ჯერ დაკარგა, 4-დან 3 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩაგდო. გარდა ამისა, ბურთი 5-ჯერ დაკარგა, ერთხელ დაუფარეს, 1 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 3-ჯერ დაჯარიმდნენ.

სარგებლიანი იყო გიორგი შერმადინიც, რომელიც 10-ქულიან ზღვარს აცდა. მეტიც, 14 ქულით ის სარაგოსელთა ბომბარდირი გახდა. გიორგიმ 21.39 წუთი ითამაშა და 10-დან 5 ორქულიანი და 5-დან 4 საჯარიმო გამოიყენა. 14 ქულასთან ერთად, შერმადინმა 7 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა; ერთხელ შეცდა, 4-ჯერ დაჯარიმდა და მასზეც 4-ჯერ დაირღვა თამაშის წესები.

8 მატჩიდან მოპოვებული 5 გამარჯვებით „სარაგოსა“ ჯგუფში მესამე ადგილზეა და თუ დარჩენილ ორ ტურში ადგილს შეინარჩუნებს, მომდევნო ეტაპის საგზური მას დარჩება (შემდეგ წრეში ჯგუფიდან მოწინავე სამეული გადის).

10 დეკემბერს, პირველი ჯგუფური ეტაპის ბოლოსწინა ტურში, არაგონულ კლუბს რომის „ვირტუსთან“ მოუწევს ურთიერთობის გარკვევა, რომელიც 2 მოგებით მე-5 ადგილზეა.

D ჯგუფი

გრაველინი	6	2	604 521	83
ალბა	5	2	501 470	31
სარაგოსა	5	3	636 563	73
ტელეკომი	4	4	599 626	-27
ვირტუსი	2	5	509 516	-7
მონსი	1	7	483 636	-153